წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. პარასკევი 12 თებერვალი 1916 წ. № 33

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] 10 კ. [illegible] გარეშე მი- [illegible] ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.

გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანცორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

პირველი წელი — პირველი წელი

„საქართველო"-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამ თვეში ერთხელ გამოვა

## კაზმული და სამხატვრო კრებული
## „მერანი"

**კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი.** ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს" რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

**გაზეთ „საქართველო"-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი" უფასოდ დაურიგდებათ.**

აბრამ ილიას ძე ტურიაშვილი, მეუღლე მისი მარიამ სპირიდონის ასული და მათი შვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედის მაგიერ მოამაგე

## სოფიო გიორგის ასულის
## ხარაშვილის

გარდაცვალებას, ქ. სიღნაღში, [illegible] პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ტაძარში შაბათს, 13 თებერვალს. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

(2—107—1)

ილია მიხეილის ძე ხარაშვილი, მეუღლე მისი მართა ალექსანდრეს ასული და მათი შვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქ. სიღნაღში გარდაიცვალა პირველისა დედა მეორისა—დედამთილი, ხოლო უკანასკნელთა დიდი დედა

## სოფიო გიორგის ასული
## ხარაშვილისა

დაკრძალვა მოხდება ქ. სიღნაღის წმ. გიორგის ტაძარში შაბათს, 13 თებერვალს. თბილისში წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში შაბათს, 13 თებერვალს. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

## სახალხო სახლი

**კვირას, 14 თებერვალს**

დღის 1 საათზე გაიმართება

I
## ლ ე ქ ც ი ა
## შრომის მუშაკული—პოეტი იოსებ დავითაშვილი

წაიკითხავს იოსებ იმედაშვილი.

II
## უბედური კაკო გლახიაშვილი

დრამატ. პოემა ილია ჭავჭავაძისა.

III
## სცენები, ლექსები და სიმღერები

ადგილების ფასი 10 კ. 60 კ.-მდე.

დაწვრილებით იხილეთ აფიშებში.

(3—51—2) გამგე ბეგლარიძე.

**მოკლე ხანში ხელის მოწერით გამოვა**

## კიკნა-ფშაველის

**პოემათა და ლექსთა კრებული—ავტორის სურათით, ბიოგრაფია-წინასიტყვაობით და დ. კასრაძის კრიტიკული წერილით.**

ეღირება ათ შაურად.

**ხელის მოწერა შეიძლება—თბილისში:** „თეატრი და ცხოვრების" რედაქციაში; ალ. შარიკაძესთან—ტრამვაის მოსამსახურეებში; **საშუალო სასწავლებლებში; გ. ქუჩიშვილთან**—ქ. კულტ. მოყვ. საზ.; **ალ. ძაძამიასთან**—რკინის გზის სახელოსნოში და კერძო აგენტებთან. **თელავში**—ნ. **გოგოლაძესთან**—წ.-კ. გამ. საზ. მაღაზ.; **თიონეთში**—ი. **რიზალაშვილთან**—აფთიაქში; **გორში**—**თამ. მაკალატიასთან; ჩოხატაურში**—აფთ. **ცინცაძესთან; პეტროგრადში**—**სტუდ. ცირგილაძესთან; ხარკოვში—სტუდ. ალ. გრიგოლიასთან; დორპატში**—**სტუდ. გრ. ხერხეულიძესთან; მოსკოვში**—**სტუდ. ხაჩიძესთან და სხვა დაბა-ქალაქებში.**

## საარტისტო საზოგად. საკონცერტო დარბაზში

პარასკევს, 12 თებერვალს, გაიმართება ახალგაზრდა მომღერლის

## ვარდენ ლორთქიფანიძის
## კონცერტი

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მომღერალი მ. ბრ. **შენგელისა (რჩეულიშვილი)** და საიმპერატ. ოპერის **სოლისტი მ. ა. ვოლფ-იზრაელი,** ფიოლონჩელზე დამკვრელი ბ-ნი **დიგმელოვი,** აკომპანიმენტი **ქნ. ანდრონიკაშვილი-ციციშვილისა.**

გამგე-დიასახლისი ქნ. ა. ნ. **ბეგთაბეგოვისა.**

ბილეთები დღეიდან იყიდება ქართველ ქალთა საჩაიე „ძმურ ნუგეშში", მხოლოდ კონცერტის დღეს დარბაზის შესავალში. **დასაწყ. საღ. 8-ნახ. საათ.**

## კვირას, 14 თებერვალს

სახაზინო თეატრში

იმართება

## შიო მღვიმელის
## სადღესასწაულო დილა

**დაწვრილებით პროგრამებში.**

**დარჩენილი ბილეთები იყიდება საჩაიე „ძმურ ნუგეშში"**

ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე, საღამოს 6—11 საათამდე

**14-ს სახაზინო თეატრის კასაში.**

ფასები ჩვეულებრივია.

## საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
## ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**

**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**

(101—წ.)

## ფეხსაცმლის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 37. საუკეთესო ღირსების ფეხსაცმელი

**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში**

## საკუთარი ტყიდან

**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**

(103—წ.)

## საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
## ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**

(102—წ.)

იბეჭდება და 14 თებერვალს გამოვა ალმანახი

## „ცისფერი ყანწები"

შინაარსი: 1. **პაოლო იაშვილი:** პირველთქმა ლიტერატურული მანიფესტი.
2. **პოეზია:** გრ. რობაქიძე, ი. გრიშაშვილი, ელენე დარიანი, გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ი. ყიფიანი და პ. იაშვილი.
არტ. ჰუმბაძე—ნაწყვეტი რომანიდან.
ნ. ლორთქიფანიძე—ზღაპარი.
ალ. ცირეკიძე—მინიატიურა.
აკაკი ფაღავა—„თეატრი".
**3. კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, შენიშვნები.**
ყდა—ლადო **გუდიაშვილისა**.

(3—58—1)

## განცხადება
## „ახალი კლუბის" მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს „ახალი „კლუბის" წევრთ, რომ რადგანაც დანიშნული

## წლიური კრება

ამა თვის 2-ს არ შესდგა მეორედ დანიშნულია 19 თებერვალს, დილის 12 ს.

კლუბის წესდების მე-29 მუხლის ძალით კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

**კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საქმეები:** 1) მამასახლისთა საბჭოს 1915 წლის მოქმედების ანგარიში; 2) მიმდინარე 1916 წლის შემოსავალ-გასავალის ხარჯთ-აღრიცხვა; 3) მიმდინარე საქმეები და 4) არჩევნები: 1) მამასახლისთა, 2) სარევიზიო კომისიის წევრთა, 3) კლუბის წევრთა და 4) მუდმივ მოსიარულეთა.

(3—55—1)

## „ახალი კლუბი"

**ერთი კვირის პროგრამა 12—14 თებრვლამდე 1916 წ.**

**პარასკევი**—სინემატოგრაფი, სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებ. ორკესტრი.

**შაბათი**—ოპერეტკა—ქართულ ენაზე, ოპერეტკაზე შესვლა უფასოა.

**კვირა**—კონცერტი მომღერალთა გუნდის მიერ, მიხეილ კავსაძის ლოტბარობით, დაწვრილებით პროგრამაში.

**დასაწყისი:** კონცერტებისა საღ. 9 საათ., სპექტაკლისა, ოპერეტკების და სინემატოგრაფისა საღ. 8 საათზე.

კლუბში შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, საოჯახო საღამოს შესასვლელი ფასი მამაკაცისა 1—05 კ., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 55 კ.

(6—51—4)

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 8, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**ექიმი**

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ** გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

**პროვიზორის ახვლედიანისა**

**ექიმი-დოსტაქარი**

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**კბილის ექიმმა**

## მამულაიშვილმა

**(ხოდნევისამ)**

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

**კბილის ექიმი**

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

11 თებერვალი.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. რიგა-დვინის შტადტისა და იაკობშტადტის რაიონებში გერმანელთა აეროპლანები დათარეშობდენ და ყუმბარებს ისვროდნენ. იქსკიულის რაიონში გერმანელებმა სასტიკი ბრძოლა დაიწყეს. დვინსკის თავზე ორი ცეპელინი დაფრინავდა, ამასთანავე მსხვილი კალიბრის ყუმბარები ჩამოჰყარეს. ახეთივე ძლიერი ბრძოლაა ილლუქსტან. ღამით სვენტენის ტბის დასავლეთით გერმანელებმა სასტიკი სროლა აუტეხეს რუსების პოზიციებს. მათი ცეცხლი ვრცელდებოდა ილზენის ტბის სამხრეთამდე.

**კავკასიის ფრონტი.** რუსები ოსმალთა დევნას განაგრძობენ.

**პარიზი**, 9 თებერვალი. ბელგიაში მძაფრი სროლაა ვეზენგის აღმოსავლეთით. არტუაში დიდი თოვლი მოვიდა, რაიც ხელს უშლიდა სამხედრო მოქმედებას. შამპანში გერმანელთ ხელი შევუშალეთ მუშაობაში. ვერდენის ჩრდილო რაიონში მკაცრი საარტილერიო სროლის შემდეგ მაასის ორთავე ნაპირებით იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. მხოლოდ დიდი მსხვერპლის შემდეგ დაიჭირეს ბომონის ტყე და მის ჩრდილოეთით ჩვენი პოზიციების გამოწეული ნაპირი. ფრომესის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელთ ხელი შევუშალეთ იერიშში. საზოგადოდ მკაცრი საარტილერიო სროლაა.

**ლონდონი**, 10 თებერვალი. გუშინღამ ქივანშის აღმოსავლეთით გერმანელებმა ნაღმი აafეთქეს. ზარალი არ მოგვსვლია. დილით პასუხი გავეცით ნაღმის აფეთქებით, რომლის ნაპირი დავიჭირეთ კიდეც. მტრის არტილერია სასტიკად ესვროდა ჩვენს პოზიციებს იპრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ასევე ესვროდნენ იპრის ჩრდილოეთით, იპრის შარაგზისა და არხის შუა. ერთს ჩვენს ჰაეროპლანს მოახვედრეს ზარბაზანი. მფრინავს ფეხი მოსწყვიტა, მაგრამ იგი არ შეშინებულა, აპარატი ჩამოუშვა. მისი ამხანაგი არ დაშავებულა.

**ბუქარესტი**, 10 თებერვალი. კერძო ცნობების თანახმად სტამბოლში მეტად დანაღვლიანდენ აზრუმის დაკარგვის გამო. პანიკა მოხდა ჯარებში. დარდანელის მახლობლად მდგომ გერმანელთა ჯარები სივასისკენ გაჰგზავნეს, რათა იქ აღადგინონ დაბნეულ ჯარის წესიერება.

**ლონდონი**, 9 თებერვალი. ინგლისის მეფემ ფელდმარშლის კვერთხი უბოძა ხელმწიფე იმპერატორს ნიკოლოზს.

**ბარლედიუკი**, 9 თებერვალი. დაჰლუპეს „ცეპელინი" № 77.

**პარიზი**, 9 თებერვალი. არტუაში ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ, რაიც გერმანელებმა გუშინ საღამოს დაიწყეს ჟივანშის ტყისკენ, გამოემართნენ იერიშით თითქმის მთლად განადგურებულ 800 მეტრის ფრონტზე, აგრეთვე ჩვენი თხრილების მეორე ხაზზე და აიღეს კიდეც. მაგრამ ძლიერი კონტრ-იერიშის შემდეგ ზოგიერთი ადგილები დავიბრუნეთ ჩვენი თხრილებისა. გერმანელები 7

ბათალიონამდე იყვნენ და საგრძნობელი ზარალიც მოუვიდათ არტილერიისა, თოფისა თუ ტყვიისმფრქვეველთა ცეცხლით. როვლენკურის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელებმა ნაღმი ააფეთქეს, მაგრამ აფეთქებული ადგილი ისევ ჩვენ ჩავიგდეთ ხელში. ვერდენის რაიონში საარტილერიო მოქმედება არ შეწყვეტილა. გერმანელებმა გუშინ საღამოთი იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე ბრან-ო-იურმაზის აღმოსავლეთით, ზუამესა და ერბიდუას შუა, მათ დაიჭირეს ჩვენი თხრილების პირველი რიგი, ზოგან მეორე რიგიც აიღეს, მაგრამ ბევრს ადგილას კონტრ-იერიშით უკუ ვაგდეთ. ტყვედ წამოვიყვანეთ 50 კაცი. გუშინ „ცეპელინი“ დაჰფრინავდა ლიუნევილის თავზე, მაგრამ ჩვენმა მფრინავებმა განსდევნეს მეცისკენ.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ინგლისელთა ზარალი ზღვაზე**

„Temps“-ის სიტყვით ინგლისელთა ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს გამოუქვეყნებია ჯამი თუ რაოდენი ზარალი მოსვლიათ გერმანელთაგან 1914 წლის 4 მარიამობისთვიდან მოყოლებული 1915 წლ. 31 ოქტომბრამდე. გერმანელთა სამხედრო გემებს დაუღუპიათ 46 გემი, რომელთა საზოგადო წყალწყვა უდრიდა 159,677 ტონას; 171 გემი დაუღუპნია გერმანელთა წყალქვეშა გემებს, 346,800 ტონა წყალწყვისა; 37 გემი დაღუპულა ნაღმებით, სულ 51,861 ტონა წყალწყვისა; 2 გემი არ იციან, რით დაიღუპა, ნაღმისაგან და წყალქვეშას მიერ, მათი წყალრწყვა უდრიდა 2,507 ტონას; შემდეგ დაღუპეს 3 გემი, სულ 4,745 ტონა წყალწყვისა; 5 დაუღუპულია ოსმალთა—მთავრობას, 7,058 ტონა წყალწყვა; აქ უნდა დაემატოს 6 იალქნიანი ხომალდი, 5,598 ტონა წყალწყვა (სამხედრო გემებმა დაჰღუპეს) და 13 იალქნიანივე ხომალდი, წყალქვეშათა მიერ დაღუპული, სულ 8,944 ტონა წყალწყვისა. ამ ანგარიშში არ შედის დაღუპულ სამხედრო გემების წყალწყვა, (ჯავშნოსნები, კრეისერები თუ უჯავშნო სამხედრო გემები.) ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისს 31 ოქტ. 1915 წლიდან გაცილებით მეტი ზარალი მოუვიდა ზღვაზე, ვიდრე პირველ ხანებში ამასთანავე ისიც საგულისხმიეროა, რომ გერმანელთ ზღვაზე მხოლოდ პირველ ხანებში მოუვიდათ ზარალი, მას აქეთ ჩაკეტილები არიან და ზღვაზე ვერ ჰბედვენ გამოსვლას და ზარალიც მიტომ არ უნახავთ.

**ამაო დევნა**

„Times“-ი აღნიშნავს, ჩვენ დღეს დღეობით სუსტნი ვართ ვებრძოლოთ გერმანელთ საჰაერო ბრძოლაში, მაგრამ ვეცდებით, მომავალში მაინც პირველობა დავირჩინოთო. „ის ქვეყანა, ვინც ზღვაზე ბატონობა მოიპოვა, ჰაერიც მას უნდა ეკუთვნოდესო“. შემდეგ ისევ უბრუნდება დღევანდელს მდგომარეობას. „ჯერ-ჯერობით „ცეპელინებს“ ვერ შევებრძოლებით და რა და რა ზომების მიღებაც შეუძლებელია. „ცეპელინი“ საზოგადოდ დაფრინავს 10—11 ათასი ფუტის სიმაღლეზე. საათში 50 მილს გადის. ჩვენი ჰაეროპლანები რომ დაედევნებიან, იმ სიმაღლემდე ვიდრე ავიდოდენ, ნახევარ საათს მაინც მოუნდებიან, ამასობაში ცეპელინი გაიფრენს 30 მილს და ჩვენს ჰაეროპლანებს ამაო დევნაღა რჩებაო.

**გერმანეთი საზღვაო ბრძოლისთვის ემზადება**

ნეიტრალ სახელმწიფოებიდან დაბეჯითებით ირწმუნებიან გერმანეთი საზღვაო ბრძოლისთვის ემზადებაო, ბრძოლას ბალტიის ზღვაში აპირებს. დამზღვევი საზოგადოებანი უარს ეუბნებიან დაზღვევაზე სკანდინავიის სახელმწიფოთ, რისკი შესაძლებელია და უნდა ვერიდოთო. კილში დიდი მოძრაობაა, დღისით თუ ღამით სულ სამხედრო მასალას ეზიდებიან და ჯარებიც შეუწყვეტლივ მოჰყავთო.

**მუშა ქალები**

ლონდონიდან ტელეგრაფით იტყობინებიან, ინგლისის მთავრობამ მიჰმართა ქალებს მოწოდებით, თქვენ უნდა გასწიოთ თქვენი ქმრების მაგიერობა და მინდვრები თქვენ უნდა დაამუშაოთო. ის ქალი, ვინც ამ მოწოდებას თანაგრძნობით შეხვდება, მას უფლება მიენიჭება განსაკუთრებული ფორმის ტარებისაო. მთავრობის ანგარიშით სამუშაოდ გავა 400 ათასი ქალი.

**შვეცია და მოკავშირენი**

თითქმის ერთი თვეა, რაც ინგლისი რუსეთში გამოსაგზავნ საფოსტო ამანათებს შვეციით აღარა ჰგზავნის. ეს ამანათები ეხლა იაპონიით იგზავნება რუსეთში. შვეციის მთავრობას ტორნეოს პირდაპირ ჰაპარანის საზღვარზე გაუჩერებია ინგლისიდან რუსეთისათვის გამოგზავნილი 58 ათასი ამანათი და რუსეთიდან ინგლისს გაგზავნილი 2 ათასმ ამანათი. ამის გამო საფოსტო ამანათების გზავნა შვეციის გზით შეაჩერეს.

**ოსმალეთში.**

ოსმალეთის პარლამენტმა 193 ხმით (სულ 208 დეპუტატია პარლამენტში) დაადასტურა მთავრობის კანონ-პროექტი, ოსმალეთის კონსტიტუციის ცვლილებისა. ამ ახალი კანონით სულთანს განუსაზღვრელი უფლება აქვს თავისი სურვილით დაითხოვოს პარლამენტი.

**ცეპელინი ჰოლანდიაში.**

ამსტერდამის გაზეთებში ცნობაა, გერმანელების ცეპელინი ჰოლანდიის მიწა-წყალზე დაეშვა, მოშლილი მოტორები შეაკეთა და ისევ გერმანეთის საზღვრებისაკენ გაემართა. არ იციან ვინ დაეხმარა მოტორების შეკეთებაში.

**ოსმალები აზრუმის შესახებ.**

ოსმალები გულს არ იტეხენ აზრუმის დაცემის შესახებ. ჩვენი ჯარების გამოსვლაო, ამბობს მათი ოფიციოზი „ტანინი“, სტრატეგიული მოსაზრებით მოხდა და დროებით დავცალეთ, ვიდრე მაშველი ჯარები და მეციხოვნენი ერთმანეთს შეუერთდებოდნენ“. ამასთანავე გაზეთი შენიშნავს: „ყოველ შემთხვევაში კავკასიის ფრონტს მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს და ოსმალეთის ბედი ევროპაში გადასწყდებაო“.

**სულთანი ფელდმარშალი.**

ვილჰელმმა სულთან მაჰომედ მეხუთეს ფელდმარშალობა უბოძა. „თქვენი ჯარები მამაცურად იგერიებენ მტრის იერიშებს, აღტაცებაში მოვდივარ ოტომანთა ჯარების ვაჟკაცობით და სიმამაცით. გარდაეცით გულწრფელი მადლობა ყველას და აუწყეთ, რომ გნიშნავთ ჩემი ჯარების ფელდმარშალათო.

**ბოიკოტი გერმანიას!**

მოკავშირენი ყოველ მხრიდან გაიძახიან: „ბოიკოტი გერმანიას, ეხლაც და მომავალშიც!“ ამის შესახებ გაზ. „Fratf. Ztg.-ი სწერს: „მაშასადამე, მათ სურთ ზავის შემდეგაც ბოიკოტი გამოგვიცხადონ ჩვენც და ჩვენ ვაჭრობა-მრეწველობა-მეცნიერებას? ამაო ოცნებაა! გერმანული მრეწველობა შექმნა გერმანელთა გენიოსობამ, რომელიც ომის შემდგომაც იჩენს თავს. ვაჭრობის შეჩერება შეუძლებელია მექანიკურის საშუალებით. ომამდისინაც გერმანელთა საქონელს ყიდულობდნენ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ვუყვარდით, არა, ვძულდით, მაგრამ ყიდულობდნენ იმიტომ, რომ საჭიროება მოითხოვდა. ინგლისელები და მათი მოკავშირენი ჰფიქრობენ ვითომც ჩვენი ვაჭრობის ბედს მომავალში ეგენი განაგებენ. მაგრამ მათ ერთი რამ ავიწყდებათ, სახელდობრ ის, რომ ჯერჯერობით გამარჯვებულნი ჩვენ ვართ ზავის ჩამოგდებისთანავე კიდევ ვიტყვით საკუთარ სიტყვას“.

# უკანასკნელი ფოსტა

**კ. შუმსკის** აზრით, ტრაპიზონი წარმოადგენს იმ ცენტრს, საიდანაც აზრუმში მყოფ ოსმალთა ჯარს ყოველგვარ მასალებს აწვდიდნენ. ეხლა-კი, ჩვენი ფლოტის ენერგიული მოქმედების გამო, ოსმალონი იძულებულნი არიან ამ ყოვლად საჭირო სავაჭრო ცენტრი—ტრაპიზონით ვერ ისარგებლონ.

**რორბახის აზრი.**

აზრუმის დამხობით მთელი სომხეთი რუსეთის ხელში გადადის. ამის გამო „რ. უ.“-ს მოჰყავს რორბახის აზრი აზრუმის მნიშვნელობაზე. რორბახი ამბობს: „სომხეთი თავის ადგილ-მდებარეობის მიხედვით ანატოლიის მიდამოებზე აბატონებს მის მპყრობელს, რის გამოც თუ რუსეთის ხელში გადავიდა სომხეთი, ეს ოსმალეთის დამოუკიდებლობის მოსპობას უდრის. თუ ოდესმე მოხდა, რომ ოსმალეთის მფლობელობა მხოლოდ ანატოლიით განისაზღვრა და ინგლისი მესოპოტომიაში დამკვიდრდა, მაშინ რუსეთი გაბატონდება მთელს წინა აზიაში სპარსეთის სრუტიდან ხმელთაშუა ზღვამდე. წარმოუდგენელია იმაზე მეტი საფრთხე, თუ რუსეთის ხელში ჩავარდა მთელი სომხეთი, და ამიერ-კავკასია და სპარსეთის ჩრდილო-ნაწილი. ამისათვის თუ ოსმალეთის ხელუხლებლობა გვინდა, სომხეთიც ოსმალეთის ფარგალში უნდა დარჩეს.

# ბრძოლის ველზე

აზრუმის დაცემის შემდეგ ყველაზე თვალსაჩინო ახლათისა და მუშის აღება იყო. მას შემდეგ დეპეშათა სააგენტო მხოლოდ ლაკონიური ცნობით კმაყოფილდება: ოსმალთა დევნას განვაგრძობთო.

თუ რა მნიშვნელობა აქვს აზრუმს და რა იყო ოსმალეთისთვის ეს ძლიერი ბურჯი, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მან დიდად შეაფიქრა ოსმალეთის სამხედრო შტაბი. ჩვენ არ ვიცით, სრული სურათი არავის გადმოუცია, რა ხდება ამ ჟამად სტამბოლში, როგორ შეეგებნენ აზრუმის შავბედის წერას, მაგრამ ისიც საკმარისია, რაც კანტი კუნტად კერძო დეპეშებს მოაქვთ ბუქარესტიდან და სტოკჰოლმიდან. ამ დეპეშების ცნობებით ოსმალეთში სრული დემორალიზაციაა. თუნდაც ეს ცნობა სრულს სიმართლეს არ შეადგენდეს, ოსმალეთში მაინც კარგს გუნებაზე არ იქნება ხალხი. მართალია, სწერენ, გულს იმაგრებენ, სულ ერთია, ოსმალეთის ბედს ეს ასპარეზი არ გადასწყვეტსო, ისიც მართალია, რომ თვით რუსეთის სამხედრო მიმომხილველნიც გადაჭარბებულს ენთუზიაზმს ერიდებიან (კიროვი მაგალითად), მაგრამ ეჭვს გარეშეა, აზრუმის ამბავის ისარს მწარედ აუკვნესებია იგი, რაიც იქიდან სჩანს, თუ კი მართალია, დეპეშათა ცნობა, რომ ოსმალნი თვით ფრაკიიდანაც კი მოერეკებიან ჯარებს პრესტიჟის აღსადგენად, აზრუმის დასაბრუნებლადაო. დღევანდელი დეპეშებიც აღნიშნავენ, არა თუ ეგვიპტის ექსპედიცია ჰბარდება ოცნებათა სამთავროს, არამედ სხვა ასპარეზებსაც ანებებენ თავს, თვით გერმანელებს ჰგზავნიან სივასისაკენ, რათა აღადგინონ დაცემულ ოსმალთა სულიერი განწყობილებაო.

მაგრამ თუ დასცხრა კავკასიის ასპარეზი, თუ ახლა აქეთ სიწყნარე ჩამოვარდა, ამ ახლო მომავალში სასენსაციოს არას უნდა ველოდეთ, სამაგიეროდ ახმაურდა დასავლეთის ასპარეზი. ოფიციალი ცნობების თანახმად გერმანელ მფრინავთა თარეშს საზღვარი არა აქვს. ცეპელინები და ჰაეროპლანები არ უსვენებენ და მსხვილ კალიბრის ყუმბარებს ჰყრიან ფრიდრიხშტატის რაიონში, დვინსკში, იქსკულში და სხვა. ძლიერი საარტილერიო სროლა ჰმოწმობს, რომ გერმანელები ფართო დემონსტრაციებს ახდენენ, შესაძლებელია ეფექტის მოსახდენად, რომ ქვეყნიერება გააბრუონ და აზრუმის დაცემის ამბავი მის ხმაურობაში ჩაჰბერონ.

მაგრამ დასავლეთ ევროპის ფრონტი კი ყველაფერს აღემატება. მართალია, ინგლისურ გაზეთ „ტაიმსის“ სამხედრო მიმომხილველნი და რუსეთ-საფრანგეთისა ერთხმად დასძენდნენ ამ მხარეზე არ უნდა ველოდეთ ფართო შემოტევას, სისულელე იქნება გერმანელთა მხრითაო, მაგრამ სჩანს გერმანელები ამ „სისულელის“ საზღვარს გასცილდნენ და საფრანგეთის ფრონტზე აახმაურეს ყოველმხრიდან ძლიერი არტილერია, თითქოს სურთ სუსტი ადგილის გამოძებნა და შიგ შეჭრაო. ვერდენის მხარეზე აგერ ორი დღეა საშინელი სისხლის ღვრაა. გერმანელთა მძაფრი იერიშები ჯერჯერობით ამ მხარეს ბომონდის ტყის აღებით დასრულებულა. რამდენიმე წყება თხრილებისაც აუღიათ. საგრძნობელი და დიდი ზარალი მოსვლიათ ფრანგებს ქიოვანშის ტყესთან, სადაც გერმანელთ 800 მეტრის სიგრძეზე გაუნადგურებიათ ფრანგთა თხრილების პირველი წყება და ბევრგან მეორე წყებაშიც კი შეჭრილან.

მართლდება კოპენჰაგენიდან ამას წინად მოსული დეპეშები, რომ გერმანელებმა ბელგეთი აავსეს სამხედრო მასალით, რათა ფართო შემოტევა დაიწყონ დასავლეთ ასპარეზზეო? ძნელია ამისი თქმა. შესაძლებელია ეს მხოლოდ ფართო დემონსტრაციები იყოს, რათა სუსტი მხარეები გამოიცნონ საცა ნაკლებად არიან გამაგრებულნი, რათა ზომები მიიღონ მის განსამტკიცებლად, რომ შემდეგ სხვა ასპარეზს დაუბრუნდნენ, ჯერჯერობით ფაქტთან გვაქვს საქმე, რომ საფრანგეთში მთელს ფრონტზე უტევენ, ხოლო რიგა-დვინსკისკენაც არ ისვენებენ და ძლიერი არტილერიით ხმაურობენ, რომელთაც ხელს უწყობენ მოთარეშე მფრინავნი.

სალონიკის შესახებ დაბეჯითებით არა შეიძლება რა ითქვას. ორივე მხარე მზადებაში არიან. უჩინ-მაჩინის ქუდით შემოსილი მაკენზენი ახლა მონასტირში გააჩინეს. მართალია, კოპენჰაგენის ცრუ კორესპონდენტებს ბევრი არა დაეჯერებათ რა, მაგრამ ამ ჟამად ცოტა სინამდვილესთან უნდა გვქონდეს საქმე. ორივე მხარის მომზადებისა და მოთმინების ძარღვი დაიჭიმა. ახლო მომავალში ოპერაციის დაწყებას უნდა ველოდეთ.

დიდი ხნის დუმილის შემდეგ სპარსეთზეც ამოიღეს ხმა. აზრუმის აღების შემდეგ ლონდონიდან მოვიდა ცნობა, გენერალ ელმესის დასახსნელად გაგზავნილია ჯარი და საქმეც კარგად მიდისო. როგორც ვიცით, ელმესი თავის დროზე დამარცხებულ ინგლისელთა ჯარების ნაშთის გადასარჩენად იყო გაგზავნილი და დღეს კი... დუმილის შემდეგ თვით ელმესის საშველად მიდიან. გაუგებრობაა სწორედ, ისიც ამ აზრუმის დაცემის შემდეგ!

X.

# თბილისი, 12 თებერვალი

**სათათბიროს პირველი სხდომა.**

# ადგილობრივი პრესა

„კავკ. სლოვოს“ აწინდელი სულის ჩამდგმელი თუ არა, ერთ ერთი ბაირალტართაგანი ბ-ნი ნარი განაგრძობს ქართველი ერის სულის უბეში ხელის ფათურს, რა არის ჩვენს მტკივნეულ ძარღვს შეეხოს და რაც შეიძლება მეტად გვატკინოს გული ეკლის ჩხვლეტით, თითქოს სურს გვითხრას, ხომ ხედავთ, ქართველი ვარ, მაგრამ ქართველთა ჩაწიხვლა, მათი უკეთილშობილესი გრძნობის შელახვა მეც შემიძლიან მტერ მოყვარეთა მახარებლადაო, უკედ, ჩვენი მტრების გასახარელადაო. აი, ახლა მორიგ საკითხად განიხილავს ქართველ გრიგორიანების საკითხს, რომელიც „საქართველო“-მ აღძრა ამ ბოლო დროს. ჩვენი სურვილია საქართველოს ტერიტორიაზე არც ერთი ქართველი ელემენტი არ დაგვეკარგოს. ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ რელიგიას პოლიტიკაში. ამ მიზნით დავიწყეთ აჭარაში მოქმედება ქართველ მაჰმადიანთა შორის, სადაც ჯვრით არ გაგვილაშქრნია მათი ნახევარ მთვარის დასამარცხებლად. იგივე გვსურს ჩვენს სისხლხორცს ქართველ გრიგორიანებს გავუწიოთ. ესენი აქვე არიან, საუკუნოებით ჩვენთან ზრდილნი და ჩვენთან ერთად ჭაპანის მწეველნი. მაგრამ სომეხ გრიგორიანებმა რელიგიურ ნიადაგზე გაგვიჩაღეს ბრძოლა და ხელიდან გვტაცებენ მათ. აი, ამ ნიადაგზე გვიხდებოდა ბრძოლა. სომხური გაზეთობა გამოგვექამათა. რაოდენადაც მოაღწია მათმა ხმა ჩვენამდე, კიდეც გავეცით სათანადო პასუხი. დღეს ბ-ნი ნარი გადმომდგარა და დიდის რიხით გვიმტკიცებს ქართველ გრიგორიანთა... безусловно армянское происхожденiе-ს! მაგრამ ამ „პროისხოჟდენიებს“ ბ-ნ ნარის ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ახლო მომავალში ცალკე წერილით დაუმტკიცებთ.

# სახელმწიფო სათათბირო

**9 თებერვლის სხდომა.**

**გარეშე საქმეთა მინისტრი** (სიტყვის გაგრძელება). ჩინეთში გერმანეთი სცდილობს ფეხი მოიკიდოს მოკავშირეთა წინააღმდეგ სამოქმედოთ, მაგრამ ჩინეთის მთავრობამ მას მხარი არ დაუჭირა. გერმანეთი ანგარიშს არ უწევს ჩინეთის სუვერენულ უფლებებს, რის გამოც საჭიროა ჩვენი ინტერესების დასაცავად შესაფერი ზომები მივიღოთ. ამერიკაში გერმანელები მეტად აბეზრად იქცევიან, რამაც გააბრაზა ამერიკელები და გერმანელების მიმართ თანაგრძნობა დააკარგვინა. ესპანია და ნიდერლანდია მეგობრულ განწყობილებაში არიან რუსეთთან და საერთო საქმეში გვეხმარებიან. დაბოლოს უნდა განვიცხადოთ: სრული იმედი გვაქვს თქვენსა და მთავრობას შორის დამყარდება ერთსულოვანი, შეთანხმებული მუშაობა მამულის დასაცავად, ეს იქნება ჩვენი გამარჯვების თავდები. (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

სათათბირომ გადასწყვიტა მთავრობის განცხადებანი განიხილოს.

**შიდლოვსკი** 1 პროგრესისტ-ნაციონალისტების, ცენტრის, ერობის, ოქტომბრისტების, სათათბიროს 17 ოქტომბრის ჯგუფისა, პროგრესისტებისა და კადეტების სახელით აცხადებს: სავსებით ვეთანხმებით სათათბიროს თავმჯდომარის ნათქვამს (ტაშისცემა). ნაადრევი ზავი გულისწყრომით უარგვიყვია (ტაში). რუსეთი ხანგრძლივ ომისათვის მზად არის, მოკავშირეებთან ერთად, იგი გამოიყენებს მთელს თავისს ძალღონეს და ომს ნამდვილ ეროვნულ ომად აქცევს (ტაშის ცემა). მთავრობამ არ შეიწყნარა სათათბიროს წინადადება მთელი ხალხის შეიარაღებისა და ღვარძლიანად განმარტა იგი, როგორც საშუალება მთავრობასთან საბრძოლველად. ამავე მიზეზით ორჯელ გადასდეს სათათბიროს მოწვევა. მთავრობის შეუსაბამო მოქმედება ქვეყანას ეკონომიურად აპარტახებს და ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებაში ხელფეხს უბორკავს. თავის დროზე ვერ აღნუსხეს მთელი სურსათ-სანოვაგის რაოდენობა, ჯარზე ზრუნვა აბნეულია, მთავრობის წარმომადგენელთა განკარგულებანი ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან, სურსათის გადატან-გადმოტანა შეფერხებულია, ბაზარზე საქონელს ჰმალავენ და ფასები საშინლად მატულობს, ამ ნიადაგზე ათასი მოტყუება და მექრთამეობა გამეფებულა—ყველა ეს უილაჯობის მომასწავებელია, რაიც ჩვენი ცხოვრების დღევანდელ სინამდვილეს არ შეეფერება. საჭიროა მთავრობის სათავეში იდგნენ მცოდნე, ნიჭიერი და ქვეყნის ნდობით აღჭურვილნი, რომელთაც ხალხის წარმომადგენელთან შეეძლოთ ჭაპანის წევა. (ტაშის ცემა). საჭიროა ადგილობრივ თვითმართველობის შეცვლა და ერობის შემოღება მთელს რუსეთში, კოოპერატივების ხელის შეწყობა და გავრცელება, სიფხიზლის სამუდამოდ დამყარება. მთავრობას ერთი საშუალება აქვს დაანახოს ხალხს, რომ მას სავსებით შეუგნია ქვეყნის საჭიროებანი—მან უნდა თავი მოუყაროს რუსეთის მთელს ძალას და ნებისყოფას საბოლოო გამარჯვებისათვის.

მთელი სათათბირო კვლავ დაბეჯითებით გაგახსენებთ, რომ რუსეთზე მოვლენილ განსაცდელს ჯერ არ გაუვლია და საჭიროა მთელი რუსეთის საზოგადოებრივ ძალთა ამოძრავება იმისდა მიხედვით, რაც ამ ექვსი თვის წინათაც აღინიშნა სათათბიროს უმრავლესობამ (ტაშის ცემა).

**11 თებერვლის სხდომა.**

**როძიანკო თავმჯდომარეობს.** ლოჟაში სხედან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სამხედრო, გარეშე საქმეთა, განათლების მინისტრები და სახელმწიფო კონტროლიორი.

მთავრობის ენაცხადების განხილვა გრძელდება.

**ლევაშოვი** (მემარჯვენეთა სახელით ლაპარაკობს). ომი ავსტრია-გერმანეთის განადგურებით უნდა დასრულდეს. სათათბიროს მოვალეობაა საამისოდ ნიადაგი მოუმზადოს ჯარს. პასუხისმგებელ სამინისტროს მოთხოვნა ძირითად კანონებს ეწინააღმდეგება.

ზოგიერთი პარტიები მოითხოვენ გაერთიანებულ მთავრობას ხალხის ნდობით აღჭურვილ პირთაგან შემდგარს. ასეთი წინადადება შეზღუდვაა ხელმწიფე იმპერატორის განუსაზღვრელ უფლებისა მინისტრების დანიშვნის საქმეში. ასეთი ნაბიჯის გადადგმა ომიანობის დროს მემარჯვენეებს ყოვლად შეუწყნარებლად და დანაშაულად მიაჩნიათ. ასევე შეუწყნარებლად მიაჩნიათ გაუქმება ებრაელთა უფლების შეზღუდვისა, ფინლანდიის საკითხის წამოყენება, გაუქმება სექტანტებისა დ მაზეპისტების დევნისაც. გერმანელ მოახალშენეთაგან ჩამორთმეული მამულები უნდა დანაწილდეს ომში დამსახურებულ მამულიშვილთა შორის... მტერს ტყუილი იმედი აქვს რუსეთის შინაურ პარტახისა. რუსეთის ხალხი თავის დასაცავად ერთს გაერთიანებულს ბლოკს შეჰქმნის მტრის დასამარცხებლად. სხვა გვარი ბლოკი ყოვლად შეუწყნარებელია და მათს წინააღმდეგ მემარჯვენენი ყოვლის საშუალებით იბრძოლებენ. (მარჯვნით ტაშის ცემა).

**პოლოვცევის** აზრით ამ ომის მარცხი ჩვენი მოუმზადებლობის ბრალია და არა არმიისა. რუსეთის ნაციონალისტებმა სიამოვნებით მოუსმინეს მთავრობის წარმომადგენელს, რომ ზავი არ შეიკვრება, ვიდრე არ გავიმარჯვებთო. რუსეთში ომისა არავის ეშინიან, პირიქით შიშს ის იწვევს,ვაი თუ მოწინააღმდეგეს სეპარატიულად ზავით შევეკრათო, რაიც არაოდეს არ მოხდება. შემდეგ ორატორს მოჰყავს რამდენიმე ფაქტი იმის დასამტკიცებლად, რომ მთავრობამ უნდა მოქმედება გამოიჩინოს დ მოღალატე დიდი მოხელენი დაისაჯნენ. ხალხი არ აპატიებს მთავრობას არც უმოქმედობას და არც ბოროტგამზრახველებზე ხელის დაფარებას. (ტაშის ცემაა მარჯვნით და ცენტრში).

თავმჯდომარე როძიანკო ფეხზე ამდგარ დეპუტატებს უკითხავს მეფის მილოცვას არზრუმის აღების გამო.

„გაუმარჯოს მეფე იმპერატორს!“ იძახის როძიანკო. ყველანი ვაშას იძახიან.

**შულგინის** აზრით მთავრობის შეცდომა ის არის, რომ მას ეგონა ომს მხოლოდ ჯარი აწარმოებსო. მაშინ, ომს ხალხი აწარმოებდა. მთავრობას ეგონა, რომ ჯარს ზურგს რომელიმე მინისტრი უმაგრებდა, მაგრამ განა შეიძლება ერთმა კაცმა ზიდოს მთელი ომის ტვირთი? მთელი მობილიზაცია ჯარის მისაშველად მთავრობის ხელში უნდა ყოფილიყო. საშიში არ არის მტერს მივბაძოთ, რადგან ეს საქმე თვით წვრილმანებამდე გერმანეთში ჩამოაყალიბეს. შემდეგ ორატორი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ მთავრობას წინდაწინვე უნდა ჰქონდეს აწონილ-დაწონილი საკითხი ვაჭრობა მრეწველობისა, საქონლის გადაზიდ-გადმოზიდვისა და სიძვირის შესახებ. უნდა წინდაწინვე იზრუნონ გამოქცეულთა შესახებ, როდესაც გამოქცეულები მილიონობით მოაწყდნენ, ეს გათვალისწინებული არ ჰქონდა მინისტრთა საბჭოს. ჩვენს მინისტრებს დრო არა აქვთ. შემდეგ ორატორი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ რაკი ომი მთელს ხალხს მოედო, არ შეიძლება მისი შეწყვეტა; თეთრი ხელმწიფე გაიმარჯვებს შავს იმპერატორზე და შავ იმპერატორის მსაჯულნი თვით მისი საკუთარი ქვეშევრდომნი იქნებიანო.

მილიუკოვის აზრით სათათბირომ დღევანდელ მდგომარეობის მიზეზი უნდა გამოარკვიოს და დაბრკოლებანი თავიდან აიცილოს, რომელი დაბრკოლებაც გამარჯვებას ხელს უშლის. მთავრობას არ ესმის სახიფათო შეუხამებლობა გამარჯვებისათვის საჭირო ნამდვილ პირობებსა და რუსეთის სინამდვილის შორის. მართალია მთავრობამ ერთი შეცდომა გაასწორა, რომ სათათბირო მოიწვია, მაგრამ მთავრობა თავდაჭერილად ლაპარაკობს სათათბიროსთან ერთად მუშაობის შესახებ და მართველობის შეცვლის გამო.

მთავრობა მოგვიწოდებს დავივიწყოთ ყოველივე პარტიული, ქიშპობა, მაგრამ თვით მთავრობა ხომ არ არის ამაში დამნაშავე? შემდეგ ორატორი ეხება მთავრობის მოქმედებას და დასძენს, რომ მთავრობას ხალხში სულიერი გათიშვა შეაქვს. იხსენებს ფინლიანდიის საკითხს, რომ სეიმის მოწვევის ნება არ მიეცა. იხსენიებს ებრაელების საკითხს, რომ უფრო შევიწროებულ იქმნენ. ჩვენამდე ხმა აღწევს, რომ გერმანელები პოლონეთის საქმეს აწყობენ, რათა პოლონელი ხალხი თავისკენ გადაიბიროს და ჩვენ კი ამ დროს მხოლოდ სიტყვიერ აღთქმით ვაკმაყოფილებთ. კოოპერატიული ორგანიზაციები დაიხურა. ცენტრალურ კოოპერატივს მოქმედება აეკრძალა. საზოგადო ძალა განდევნილია და ეკონომიურსა და პროფესიონალ შეერთების საკითხს დაშორებულია.

(დასასრული იქნება)

## სახელმწიფო საბჭო

თებერვლის 9-ს, სახელმწიფო საბჭოს კრების დაწყების წინ გავრცელდა ხმა, საბჭოში მისი იმპერატორებითი უდიდესობა ხელმწიფე მობრძანდებაო. საბჭოს წევრნი **ხელმწიფის** დასახვედრად ვესტიბიულში შეიკრიბნენ. ამ რიგად დარბაზი დაცარიელდა და ლოჟები კი მაყურებელი საზოგადოებით იყო გაჭედილი. სწორედ ცხრის ნახევარ საათზე **მობრძანდა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა, რომელსაც თან ახლდნენ დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე, სასახლის მინისტრი, კომენდანტი და მორიგი ფლიგელ ადიუტანტი.** საბჭოს წევრთაგან დიდის პატივისცემით შეხვედრილი ხელმწიფე-იმპერატორი მიბრძანდა პატარა დარბაზში, სადაც გადახდილ იქმნა პარაკლისი. პარაკლისის დამთავრებისას „მრავალ ჟამიერის" შემდგომ ბრძოლაში დახოცილთა მოხსენიების დროს დამსწრეებთან ერთად ხელმწიფე იმპერატორმაც მუხლი მოიდრიკა და შემდეგ კი წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც საბჭოს კეთილ-ნაყოფიერ მოქმედებასა და ძლევამოსილი რუსეთის დღეგრძელობისთვის ზრუნვას უსურვებდა. მის სიტყვას მოჰყვა. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის სიტყვა, რომელშიაც მან მისი იმპერატორებითი უდიდებულესის დასწრების გამო დიდი სიხარული და რუსეთის გამარჯვების დიდი იმედი გამოსთქვა. ამის შემდეგ საბჭოს წევრთა და ხალხის მიერ „ვაშა"-ს ძახილით გაცილებული ხელმწიფე-იმპერატორი სასახლისაკენ წაბრძანდა.

საბჭოს კრების დაწყებისას **თავმჯდომარემ** სტატს-სეკრეტარმა კულომზინმა წაიკითხა სახელმწიფო საბჭოს მოქმედებათა განახლების ხელმწიფის ბრძანება, რომელსაც დამსწრენი ფეხზე დგომით უსმენდნენ. თვით თავმჯდომარემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ხელმწიფე-იმპერატორის კეთილმსახურება აღნიშნა, რუსეთის მებრძოლნი ქებით მოიხსენია და რუსეთის გამარჯვების სრული იმედი გამოსთქვა. შემდეგ სიტყვებს ამბობენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სხვა წევრებიც.

მათ შემდეგ საბჭოს წევრთაგან ილაპარაკა **მელერ-ზაკომელსკიმ,** რომელმაც რუსეთის გამარჯვების უცილობელ საბუთად მთელი რუსეთის მცხოვრებთა ძლევა-მოსილება და რუსეთისათვის აღფრთოვანება დაასახელა და დასძინა: ყველა განცალკევებული საზოგადოებრივი ძალები უნდა რუსეთის გამარჯვების გარშემო შევკრიბოთ და მით ხალხთა კეთილყოფასა და რუსეთის გამარჯვებას ხელი შევუწყოთო...

**გრიმსა** ჰგონია, რომ ომის მალე გათავებას არავინ მოელის, რადგან ომი რუსეთის სრული გამარჯვებით უნდა გათავდეს. ამის მიღწევა კი შეიძლება ხალხთან მთავრობის შემაერთებელი საქმითა და არა სიტყვით. მმართველობა კი საზოგადოების ინიციატივას ანგარიშს არ უწევდა და ეწინააღმდეგებოდა კიდეც. სახელმწიფო სათათბიროს პროგრესიული ბლოკის ასეთ განცხადებას მემარცხენეთა გრუპა სრულიად ეთანხმება.

**შჩებეკო** პოლონელთა საკითხს ეხება და აღნიშნავს, რომ სიტყვა საქმედ ვერ იქცა და პოლონელებს მოლოდინი სავსებით ვერ გაუმართლდათო,

**ნეიდგარდტი** მიუთითებს იმ გამოფხიზლებას, რომელიც დაბა-ქალაქებსა და სხვა და სხვა საზოგადოებებს დაეტყო. მათი გამოფხიზლების უმთავრესი მიზანი რუსეთის მიზანი რუსეთის გამარჯვებისათვის ზრუნვა არისო.

მემარჯვენეთა სახელით **გრაფი ბობრინსკი** აცხადებს, ჯერ ყველამ ომისათვის, გამარჯვებისათვის ვიზრუნოთ და სხვა ანგარიშები მშვიდობიანობის დროს გავასწოროთო.

**კოკოვცოვი** უპარტიოთა სახელით ეთანხმება უმრავლესობის აზრს ომის ბოლომდე გაგრძელებას და უმატებს: ყოველი მეორეხარისხოვანი საკითხი უკუვაგდოთ და საერთო საქმე გამარჯვებისა გავაძლიეროთო.

შემდეგ ამისა ორატორთა ჩაწერა შესწყდა. გადასწყდა სხდომები მოხდების ხოლმე ორშაბათობითა დ ხუთშაბათობით, ხოლო შემდეგი სხდომა—პარასკევს, თებერვლის 12-სა.

ამის შემდეგ კრება იხურება.

## ახალი ამბავი

✦ **მეფის ნაცვალმა** დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ყოვლად სამღვდელო ლეონიდს იმ დეპეშის პასუხად რომელიც მათ უმაღლესობას მოუვიდა ეპისკოპოს ლეონიდისა და ქალაქის მოურავის მოადგილის გ. ა. ტყემალაძისაგან ფოთიდან, აზრუმის აღების გამო: **„გულწრფელ მადლობას უცხადებ თქვენს უსამღვდელოესობას, ქალაქის მოურავის მოადგილეს და ფოთის ქალაქის მცხოვრებთ მოლოცვისა და ლოცვისთვის. მცხოვრებთა უქვეშევრდომილესი გრძნობანი მოხსენებულ იქნება მათ იმპერატორობის უმაღლესობის ფერხთა ქვეშ". გენერალ ადიუტანტი ნიკოლოზი.**

✦ **არქიელმა პლატონმა** 10 თებერვალს საველე სათადარიგო გოსპიტალში დაჭრილ დაავადებული ჯარისკაცნი ინახულა და მწყემს მთავრული ნუგეში სცა.

✦ **ექსარხოსის ლექცია.** პარასკევს, 19 თებერვალს, საქართველოს ექსარხოსი ყოვლად უსამღვდელოესი პლატონი არტისტულ საზოგადოების დარბაზში წაიკითხავს ლექციას: „მოგზაურობა კანადასა და ალიასკში". შემოსავალი გადაიდება მეომართა ობლებისათვის. ლექციის ბილეთები იყიდება ექსარხოსის კანცელარიაში დ. ა. დავიდოვთან.

✦ **სახანიტარო და საევაკუაციო** მთავარ უფროსს პრინც ოლდენბურგელს კავკასიის ჯარის მთავარ რწმუნებულმა გენ.-მ. ე. ი. ბერნოვმა დეპეშით მოსთხოვა $1^1/_2$ მილიონი მანეთი ავანსი კავკასიის ქალაქთა კავშირის დაწესებულებათა შესანახად, ვიდრე ხარჯთ-აღრიცხვას განიხილავდენ.

✦ **კოოპერატიული სავაჭრო დუქ**ნები განზრახულია გაიხსნას თბილისში ათ ალაგას.

✦ **გამოსათხოვარი სადილი.** 10 ამა თვეს თავად-აზნაურთა მარშალმა თავ. კ. ნ. აფხაზმა გამოსათხოვარი სადილი გაუმართა თბილისის გუბერნატორად ნამყოფს ბ-ნ სტრახოვსკის. სადილზე მიწვეულნი იყვნენ მაზრების თავად-აზნაურთა მარშლებიც.

✦ **შაქარი.** ზოგიერთ ბანკების საწყობებში კარგა ბლომად შაქარია სხვა და სხვა ფირმებისა, რომელთაც ამ ბანკებიდან სესხად ფული აუღიათ. ქალაქის გამგეობის თხოვნით კავკასიაში სასურსათო საქმის უფროსმა კ. ი. შაშკოვსკიმ განკარგულება მოახდინა, უტყუარი ცნობები შეიკრიბოს, თუ რამდენი შაქარი აქვთ ბანკებს თბილისში გირაოდ და ვის ეკუთვნის იგი.

✦ **უსასყიდლო ბილეთების გაუქმება.** ტრამვაის დირექცია ბევრს სხვა და სხვა პირს აძლევდა წიგნაკებს ტრამვაის ვაგონებით უსასყიდლოდ სამოგზაუროდ. ასეთი წიგნაკები განსაკუთრებით მრავალი რიგდებოდა ქალაქის გამგეობის თხოვნით. რაკი ეხლა ტრამვაი ქალაქის ხელში გადავიდა, როგორც ამბობენ, ქალაქის გამგეობას განუზრახავს მოსპოს უსასყიდლო ბილეთების გაცემა.

✦ **თბილისში ჩამოვიდა** კახეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ი. ნიკოლაძე.

✦ **კახეთის რკინის გზის დასათვალიერებლად** ამ თვის 17-ს მიემგზავრება კახეთის გზის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მთელი შემადგენლობა.

✦ **შირაქში** ამ ზამთრობით არაჩვეულებრივი მშრალი ამინდი ყოფილა, ასე რომ ცხვარი სრულებით ვერ პოულობდა ბალახს. ამის გამო ბევრს მეცხვარეს ივრის ხეობაში გამოურეკნია ცხვარი საძოვარზე, ბევრს კიდევ სხვა ადგილებისათვის მიუმართავს.

✦ **კიდევ ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი.** ჩრდილო კავკასიაში ცნობილ კაშჩენკოს ფირმას უნდა ჩაებარებია თბილისის ქალაქის გამგეობისათვის 260 ვაგონი ფქვილი სადგურ ნეზლობნაიაში. მაგრამ ფირმის რწმუნებულმა აუწყა ქალაქის გამგეობას, მაზუთის უქონლობის გამო ჩვენი წისქვილის მუშაობა უნდა შეწყდეს და ამიტომ ფქვილს ველარ ჩაგაბარებთო. თუ გვიშუამდგომლებთ მთავრობის წინაშე, რომ 50 ვაგონი მოგვცენ მაზუთის გადასატანათ გროზნიდან ნეზლობნაიამდე, მაშინ წისქვილი აღარ დადგება და პირობასაც შევასრულებთო. ქალაქის გამგეობამ ეს ამბავი აცნობა კავკასიაში სასურსათო საქმის უფროსს ბ-ნ კ. ი. შაშკოვსკის და 50 ვაგონი სთხოვა აღნიშნულ ფირმისთვის მაზუთის გადასატანად.

✦ **საჩუქრები მეომართათვის.** ქალაქის კავშირმა მოსკოვიდან სამი ვაგონი ტანთსაცმელ-სათბილობელი მიიღო მეომართათვის. **ორი ვაგონი აზრუმში დასარიგებლად მიაქვთ ქალა**ქის მოურავ ხატისოვსა და გამგეობის წევრს ყურულს ხოლო მესამე ბათომის ოლქისკენ ხმოსან გოთუას.



**მომღერალი ვარდენ ივლ. ლორთქიფანიძე.**
დღევანდელ კონცერტის გამო.

✦ **ახალი კოოპერატივი.** როგორც გადმოგვცეს, თბილისში რამდენიმე მომხმარებელი ამხანაგობა არსდება, რომელნიც ამ მოკლე ხანში ქალაქის სხვა და სხვა უბანში გახსნის სავაჭროს. გამრავლება კოოპერატივებისა გამოუწვევია სასურსათო საქმეთა უფროსის ბ-ნ შაშკოვსკის განკარგულებას შესახებ იმისა, რომ მის მიერ ნაყიდ 120 ათასი ფუთი შაქარით ქალაქის ყველა მცხოვრებლებმა ისარგებლონ. მაგრამ შაქარს ვერ აძლობენ კერძო ვაჭრებს,—არ გადამალონო, ხოლო არსებული სამი საამხანაგო დუქანი ყველა უბნის მცხოვრებთ ვერ გასწვდებაო.

✦ **საბავშო დილა.** დღეს, 12 თებერვალს, საღამოს 5 საათზე კავკასიელ ქალთა ქართულ სექციის უსასყიდლო სასადილოში (ვერა, მატერიალნი ქუჩა, სახ. № 16), წერა-კითხვის საზოგადოების სახალხო კითხვების მმართველი სექცია მართავს საბავშვო საღამოს ბუნდოვანი სურათებით. ილია ნაკაშიძე უამბობს ბავშვებს დანიელ ჭონქაძის ბიოგრაფიას და მისი წიგნის („სურამის ციხე") შინაარსს, აგრეთვე საქართველოში ბატონ-ყმობის გადავარდნის მოკლე ისტორიას. შემდეგ ნაჩვენები იქნება ბუნდოვანი სურათები საქართველოს ცხოვრებიდან მოკლე განმარტებით.

✦ **მწერლის ავადმყოფობა.** სომხეთის ცნობილი მწერალი ავეტის აღარონიანი, რომელიც დაშნაკცუტუნთა საქმის გამო პასუხის გებაში იყო მიცემული, მაგრამ უმაღლესის ბრძანებით სასჯელისაგან განთავისუფლდა, საზღვარგარეთიდან თბილისში დაბრუნდა, მაგრამ ამ ჟამად მძიმე ავად არის.

✦ **წითელა სოფლად.** საგარეჯოსა, ნინოწმინდასა, გიორგიწმინდასა, პატარძეულსა და ივრის ხეობის სხვა სოფლებში ძალიან გავრცელებულა წითელა. გლეხების ოჯახები ერთი მეორეს არ ერიდებიან და ეს გაუფრთხილებლობა ერთობ უწყობს ხელს სენის გავრცელებას. მსხვერპლი ბევრია ამ სნეულებისა.

✦ **უპატრონო კოკსი.** თბილისის სადგურზე მოსულა 1 ვაგონი კოკსი. როგორც ქაღალდებიდან სჩანს, საქონლის პატრონი არის „ქუთაისის კომიტეტი", მაგრამ ასეთი კომიტეტი თბილისში არ მოიპოვება. კოკსი ამ ჟამად იშვიათი საქონელია და თბილისში. ბევრს სჭირდება იგი, რისთვისაც რკინის გზის სადგურის ადმინისტრაციას ბევრნი სთხოვენ—კოკსი დაგვითმეთო, მაგრამ რკინის გზა ვერ ბედავს გაყიდვას. ეს ერთი ვაგონი კოკსი ღირს 200 მანეთამდე, მაგრამ რადგან დიდი ხანია, რაც ის გაჩერებულია რკინის გზაზე, შესანახი ქირა ითვლება მაზედ 300 მანეთამდე.

✦ **კრების გადადება.** ოთხშაბათს, 10 თებერვალს, უნდა შემდგარიყო შეერთებული კრება წერა-კითხვისა და ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საგანგებო კომისიების ილიასეული საგურამოს მამულის საიჯარო პირობების შესამუშავებლად, მაგრამ კრება არ შესდგა და სხვა დროისათვის გადაიდო.

✦ **სურამის მამასახლისი** 1 ვაგონ სიმინდს სთხოვს თბილისის ქალაქის გამგეობას მცხოვრებთათვის დასარიგებლად.

✦ **საცდელი მინდვრები.** სოფ. გიორგიწმინდის რწმუნებულთ 5 დესეტინა სასოფლო ადგილი უკვე მიუზომნიათ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათვის, რომელმაც ამ ადგილზე უნდა გააშენონ ვაზისა და **ხეხილის სანერგე. ამ ჟამად საზოგადოებას ივრის ხეობაში სულ 15 დესეტინა აქვს (10 დესეტინა საგარეჯომ** დაუთმო ამას წინად) საცდელ-საჩვენებელ მინდვრის მოსაწყობად.

✦ **ამინდი.** თბილისის მიდამოებში იანვრის განმავლობაში გაზაფხულის თბილი დღეები იდგა, თებერვლის პირველ რიცხვებში თბილისის ბაღებში უნაბიც კი აყვავდა. ხმელ და თბილ ზანთარს დიდი მაზარალებილი გავლენა ჰქონდა ჰირნახულზე. სოფლელები ძლიერ დაღონებულნი იყვნენ და თოვლის მოსვლას შეხაროდნენ. საბედნიეროდ დღეს აგერ მეხუთე დღეა, რაც ზამთრის დღეები დაიჭირა, ორი დღეა თუმც ცოტას, მაგრამ თოვს კიდეც.

✦ **გადმოხვეწილთა დახმარება.** ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებამ 30.000 მანეთი გაუგზავნა ერევნის გუბერნატორს გაჭირვებულთა დასახმარებლად. ბ-ნი გუბერნატორი დეპეშით ატყობინებს ბ-ნ ხატისოვს, რომ მიღებულ ფულიდან 20.000 მან. ეპისკოპოს ქორენს გადავეცი გადმოხვეწილ სომეხთა სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენ 10.000 მანეთი მოსკოვის სომეხთა კომიტეტის ერევნის განყოფილებას აგრეთვე გადმოხვეწილ სომეხთათვისო.

✦ **ბოსტნეულობის თესლი.** ივრის ხეობის სოფლები ბოსტნეულობის თესლს სთხოვენ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. როგორც გავიგეთ, საზოგადოების საბჭო ამ დღეებში დააკმაყოფილებს სოფლების თხოვნას, მხოლოდ სათესლე კარტოფილი ვერ უშოვნია თბილისში.

✦ **ვერის პარკის** შესაზღუდავად მოსალოდნელ წყალდიდობისაგან ქალაქის საბჭომ გადასდვა 15,000 მანეთი. ქალაქის გამგეობამ პარკის შეზღუდვა მიანდო ინჟინერს ლ. ნ. დიასამიძეს, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

✦ **საეკლესიო მუზეუმი** ქართველ სამღვდელოებისა ამ დღეებში დაათვალიერეს თბილ. ქალთა ინსტიტუტის უფროს კლასების მოწაფე ქალებმა, ინსტიტუტის უფროსის ქ-ნ ნ. დ. რეისსაგის და ქართულ ენის მასწავლებლის შ. ქარუმიძის ხელმძღვანელობით. საეკკლესიო მუზეუმში მოწაფე ქალები მუზეუმის გამგის ბ-ნ მ. გ. ჯანაშვილის ხელმძღვანელობით გაეცნენ ძველ სიგელ გუჯრებს, მხატვრული ნაწარმოებს და განსაკუთრებით ხელსაქმებს. შემდეგ დაათვალიერეს სიონის ტაძრის სიძველე-სიწმინდენი, სადაც აღსნა განმარტებას აძლევდა სიონის კანდელაკი დეკ. ა. თოთიბაძე. ბ-ნ ჯანაშვილმა ინსტიტუტის უფროსს და მოწაფე ქალებს საჩუქრად გადასცა თავისი საიუბილეო გამოცემა წიგნი (Къ матеріаламъ объ отношеніи Грузіи къ Россіи).

✦ **ორთაჭალის ხიდის** პროექტის შედგენა ქალაქის გამგეობამ მიანდო ინჟინერს ლ. ნ. დიასამიძეს. ბ-ნმა დიასამიძემ უკვე შეადგინა გეგმა ხიდისა და სავარაუდო ანგარიში საჭირო ხარჯისა. ხიდის გაკეთება ბ-ნ დიასამიძის ანგარიშით 9 ათას მანეთამდე დაჯდება.

✦ **სურსათი.** 10 თებერვალს თბილისში შემოვიდა რკინის გზით: ფქვილი 30 ვაგ., ქერი 4 ვაგ., სიმინდი 2 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., ფხვნილი შაქარი 1 ვაგ., ბრინჯი 1 ვაგ., შეშა 8 ვაგ., ნავთი 1 ვაგონი.

✦ **გადამდები სნეულებანი.** გუშინ, 11 თებერვალს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშია 158, ხუნაგიანი 31, საოფლიანი 14, მუცელათი 1, წითელ ქარიანი 1 და მენინგიტიანი 2 კაცი.

---

### შეცდომის გასწორება

სათათბიროს სხდომის ანგარიშში ორჯელ არის დაბეჭდილი **სამხედრო მინისტრი,** მეორე სათაურის მაგიერ უნდა იყოს **გარეშე საქმეთა მინისტრი.**

## პრესა და ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი

„ხმალი იმოდენს ვერა იქმს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო".

**ილია.**

ზედმეტად მიმაჩნია ანბანიდან დავიწყო და განვმარტო პრესის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ეს ჩემგან კადნიერება იქნება: ვიტყვი მხოლოდ, რომ პრესას, ბეჭვდითი სიტყვას, გაზეთს დღეს ანგარიშს უწევს ყველა. გაზეთში თავის შესახებ დაწერილს კითხულობს და პასუხს აძლევს არა თუ საზოგადო დაწესებულება, არამედ კერძო პირიც კი. ხშირად შეგხვდებათ გაზეთით შეურაცყოფილი: ვაჭარი, მღვდელი, მამასახლისი, სოფლის მწერალიც კი ცდილობს „გაზეთში ჩაგდებისაგან" თავი იხსნას და თუ მაინც „ჩავარდა" ყოველივე ღონეს ხმარობს, ისევ პრესისვე (გაზეთის) საშუალებითვე აღადგინოს თავისი შებღალული პატიოსნება. პრესას ასეთსავე ანგარიშს უწევენ სახელმწიფო დაწესებულებანიც. ზოგიერთ დაწესებულებაში მოხელეთა შტატია საგანგებოთ ამისათვის დაარსებული და ეს მოხელენი გაფაციცებით ადევნებენ თვალს ყველა გაზეთში მათი დაწესებულების შესახებ მოთავსებული მცირე შენიშვნასაც კი; ყოველივე შენიშვნას გაზეთებიდან ამოჭრიან, აღნიშნავენ ზედ გაზეთის №-ს და წარუდგენენ უფროსებს. უფროსები შეამოწმებენ ხოლმე თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს გაზეთში მოთავსებული ესა თუ ის ცნობა. ხშირად მომხდარა, რომ გაზეთში დაბეჭდილი ცნობის მიხედვით კვლევა ძიებას შესდგომიან და დამნაშავე პირი დაუსჯიათ. ხშირი ყოფილა აგრეთვე შემთხვევა, რომ ამა თუ იმ დაწესებულებას ან მოხელე პირს გაზეთში გამოთქმული აზრი მოსწონებია და გაზეთში ნაჩვენებ გზას დასდგომია. წარმოიდგინეთ მაზრის უფროსები და ბოქაულებიც კი (რასაკვირველია უფრო ყოჩაღები და საქმით დაინტერესებულნი) ავალებენ თავიანთ ხელქვეითებს არაფერი გამოეპაროთ შეუნიშნავი და მოუხსენებელი მათს შესახები რაც-კი დაიბეჭდება გაზეთებში.

თუ-კი ასეთი რისხვა და მალამოა გაზეთი ბიუროკრატიულ დაწესებულებისა და მოხელისათვის. მით უმეტეს გაზეთს და მასში მოთავსებულ მხილებასა და წინადადებას დიდ ყურადღებას უნდა აქცევდენ საზოგადოთ ყველა დაწესებულება. ყველამ კარგად უწყის, რომ ჩვენში დღეს თითქმის არც-ერთი გაზეთი არ არის კერძო პიროვნების აზრის გამომხატველი. ყველა ორგანოს განაგებს კოლეგია, რომლის წევრებიც რომელიმე მომქმედ ჯგუფის მიერ არიან ნდობით აღჭურვილები. აქედან ცხადია, რომ გაზეთში დასტამბულ აზრს (თუ მას სარედაქციო შენიშვნა არ ახლავს) იზიარებს კოლეგია, იზიარებს რომელიმე ჯგუფი; ამით კი გაზეთში დასტამბულს ფასი ემატება, მეტის ნდობის ღირსი ხდება და ანგარიშის გაწევასაც მეტად ითხოვს.

აქედან დასკვნა ადვილია: ყველა ჩვენებურმა საზოგადო დაწესებულებამ ამ საქმეში უნდა მიჰბაძოს ბიუროკრატიულ დაწესებულებას და ანგარიში უნდა გაუწიონ ბეჭვდითი სიტყვას. ყველა დაწესებულება ვალდებულია არ გამოეპაროს მისი შესახები ცნობა, შენიშვნა, წინადადება, თუ სხვა რამ რაც კი დაიბეჭდება, გაზეთში, თავიანთ სხდომაზე მდივანმა სხდომის წევრებს უნდა წაუკითხოს.

## სასურსათო თათბირი

9 თებერვალს, საღამოს, მიწადმოქმედების სამინისტროს რწმუნებულის ბ-ნ შაშკოვსკის თავჯდომარეობით შესდგა სასურსათო თათბირი, რომელსაც დაესწრნენ: თბილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი პანოვი, სახელმწიფო პალატის უფროსი ბ-ნი სმირნოვი, სამხედრო მიმოსვლათა უფროსის თანაშემწე ბ-ნი სავიცკი, ქალაქის მოურავი ბ-ნი ხატისოვი, ქალაქის გამგეობის წევრნი და სხ.

კრებაზე გამოირკვა, რომ, დროთა ვითარების გამო, სურსათის მოსაზიდად თბილისში ნაცვლად 60 ვაგონისა დანიშნულია მხოლოდ 45. კრებამ საჭიროდ სცნო დაავალოს ბ-ნ შაშკოვსკის იშუამდგომლოს მეფის ნაცვლის წინაშე, რომ საკვების მოზიდვას ყურადღება მიაქციოს, რათა ხალხს შიმშილი აჰშორდეს თავიდან. კრებამ მოისმინა ბ-ნ ჯაბარის წინადადება, **რომ პირველ საჭიროებათა საქონელზე ზღვის ფრახტი იმდენად შემცირ**დეს, რომ იგი გაუთანასწორდეს რკინის გზის ტარიფს. ეს წინადადება მოიწონა კრებამ და [illegible] ბ-ნ შაშკოვსკის [illegible] შრომა ამ საკითხის მოსაგვარებლად. აგრეთვე მოსმენილ იქმნა ცნობა შესახებ იმისა, რომ ალსტაფისა და ნავთლუღის სადგურები თავიანთ სივიწროვის გამო ბევრს ვაგონებს ვერ იტევენ და ეს გარემოებაც, სხვათა შორის, ხელს უშლის სურსათის გადმოზიდვასო. კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს საცა ჯერ არს, რომ ეს სადგურები გაფართოვებულ იქმნას. შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, რომ საქართველოს სამხედრო გზა გამოყენებულ იქმნას ამ გაჭირვების დროს. ამ საკითხის გამო ზოგნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ხსენებული გზა საქონლის გადმოსაზიდად გამოიყენონ, ხოლო სხვები კი ამტკიცებდნენ, რომ უმჯობესი იქნება, რკინის გზა განთავისუფლდეს მგზავრებისაგან, იგი საქონლის საზიდად გამოიყენონ და მგზავრებს, ეტლებით დ ავტომობილებით შეუძლიანთ მიმოსვლა საქართველოს სამხედრო გზითო. აღძრული საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა, მხოლოდ ჯერ-ჯერობით ის სურვილი გამოითქვა, რომ აღნიშნული გზა უთუოდ გამოიყენონ. დასასრულ ლაპარაკი აღიძრა ნიხრის შესახებ. ქალაქის სამეურნეო კომისიის თავმჯდომარე ხმოსანი ტერტეროვი და ქალაქის სასაკლაოს დირექტორი ნ. ე. არღუთინსკი ამტკიცებდნენ, რომ გამომცხვარ პურზე და ხორცზე საჭიროა ნიხრის გადიდებაო. თავმჯდომარემ ბ-ნმა შაშკოვსკიმ განაცხადა მეფის ნაცვლის ნაბძანები სიტყვება, რომ მისი უმაღლესობა სასტიკ ღონის ძიებას მიიღებს ყასბებისა და მეპურეების წინააღმდეგ, თბილისიდანაც კი განაძევებს მთელ, საქონლის გაძვირებისთვისო. ამასთანავე ბ-ნმა შაშკოვსკიმ განმარტა, რომ ძროხის ხორცი არსებულ ნიხრზე იაფადაც უნდა იყიდებოდეს ეხლა, რადგან ჯარებისათვის საქონელს თბილისში აღარ ყიდულობენ, არამედ ჩრდილო კავკასიაში და მაშასადამე ხორცის კიდევ უფრო გაძვირების მიზეზი არავითარი აღარ არსებობსო. კრებამ დასტოვა არსებული ნიხრი გამომცხვარ პურზე და ხორცზე.

## ქალთა სემინარიის გარშემო

ქალთა სემინარიის დამხმარე კომიტეტის სასარგებლოდ მივიღე შემდეგი შემოწირულებანი:

კნ. თ. მაყაშვილისაგან 10 მან., ნინო გაბაშვილისაგან 5 მ., პრაპორშჩიკი ფიცხელაურისაგან 5 მან., ექიმ ი. ანდრონიკაშვილისაგან 3 მ., ექ. ა. პაგაშვილისაგან 3 მ., ექ. მაჭავარიანისაგან 3 მან., თამარა მელიქიშვილისაგან 3 მან., კნ. ანას. მაჩაბლისაგან 3 მან., ოლიმპიადა მიქელაძისაგან 2 მან., გიორგი არჯევანიძისაგან 2 მან., მაკრინე ფორაქიშვილისაგან 1 მან., ბ-ნ ჭიჭინაძისაგან 1 მან., ივანე ზედგინიძისან 1 მან.

ყველა ამ ზემოხსენებულ პირთ დიდ მადლობას ვუძღვნი.

პატივისცემით **თინათინა ფორაქაშვილისა.**

## მცირე განმარტება

გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა თითქოს თბილისში არსდებოდეს „გურულების ახალშენი", რომელსაც მიზნად ექნება დასახული უმუშევრათ დარჩენილ გურულებს სამუშაო უშოვოს, კერძო საკუთრება შეიძინოს, გონებრივი და სულიერი საზრდო მიაწოდოს და იკისროს გურული საეკლესიო და საერო გალობა-სიმღერის დაცვა-აღდგენა და სხვა.

ამ ცნობამ ზოგიერთებში მითქმა-მოთქმა გამოიწვია და არა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. ზოგიერთები ამაში ხედვენ საერთო ძალთა დაქუცმაცებას და რაღაც განკერძოებულ მისწრაფებას. ხსენებული ამბის წამკითხველს ამნაირი დასკვნის გამოტანა შეუძლია, მაგრამ ეს ნამდვილი არ არის. თბილისში არსდება მხოლოდ და მხოლოდ გურულ გალობა-სიმღერების მოყვარულთა წრე, რომელიც ეცდება ხსენებულ საქმეს უწინამძღვროს, თბილისში იყოლიოს გურულ ტანისამოსში (ჩაქურა) გამოწყობილი მგალობელ-მომღერალთა გუნდი. გადაიღოს ნოტებზე გურული ხმები და სხვა. ამ ჯგუფს განზრახვა აქვს ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში ჩაეწეროს და იქ გურულების ცალკე სექცია დაარსოს. როგორც ხედავთ ეს არც გამოყოფაა და არც მთლიანობის დარღვევა, პირ-იქით ეს სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ერთმა გურულმა, ბ-ნმა ნოე სიხარულიძემ („ნოეს" სასტუმროს პატრონმა) 300 მან. უკვე შესწირა გურული ტანისამოსის შესაძენად.

**ერთი წევრთაგანი.**

## ახალი კლუბი

ახალი კლუბის წევრთა კრება 19 თებერვალს მოხდება მამასახლისთა ახალი შემადგენლობის ასარჩევათ და 1915 წლის ანგარიშის განსახილველად. კლუბის ბალანსი 1915 წ. უდრის 95248 მან. 48 კაპ. კლუბს შემოსვლია საწევრო ფული 3877 მან. წინასწარი შემოსატანი კანდიდატებისა 2880 მან. მუდმივ მოსიარულეთაგან 4086 მან. სტუმრებისაგან 44494 მან. 14 კაპ. სეზონის ბილეთებისა 2159 მან. კარტიდან 22485 მან. 55 კაპ. საოჯახო ბილეთებიდან 590 მ. ლოტოდან 33933 მან. 88 კაპ. ნარდიდან 1997 მან. 50 კაპ. ბილიარდიდან 1404 მან. წარმოდგენა კონცერტიდან 833 მან. 59 კაპ. ორკესტრის გაქირავებიდან 6967 მან. 21 კაპ. დაუხარჯავს მოსამსახურეებზე 7694 მან. 56 კაპ. სადგომის ქირა 9840 მან. მოსამსახურეთა ტანისამოსზე 1061 მან. 80 კ. საზაფხულო ბინის გადაკეთებაზე 4881 მან. 80 კაპ. განათება გათბობაზე 12770 მან. 70 კაპ. ჟურნალ-გაზეთებზე 695 მან. 95 კაპ. წარმოდგენა-კონცერტების გამართვაზე 6111 მან. 75 კაპ. კარტზე 7357 მან. 08 კაპ. სამუსიკო ნაწილზე 25608 მან. 57 კაპ. კანცელარიაზე 395 მან. 82 კაპ. პატენტზე 4317 მან. 78 კაპ. წვრილი ხარჯი 2531 მან, 12 კ. მოულოდნელ ხარჯებზე 1604 მან. 10 კაპ. საკონცერტო დარბაზის აშენებაზე 26964 მან. 74 კაპ. საზამთრო შენობის შეკეთება-გადაკეთებაზე 3226 მან. 74 კ. სხვა და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებისთვის მიუცია 3000 მან. შეუწირავს მეომართა კომიტეტისთვის 6919 მან. 24 კაპ. ქართ. დრამატიულ საზოგადოებისთვის სუბსიდია 800 მ. მთელი ხარჯი უდრის 141926 მან. 32 კაპ. შემოსავალიც იმდენი. წმინდა მოგება დარჩენია კლუბს 6808 მან. 15 კაპ. ქართულ თეატრის ასაგებად 7 აპრილიდან 31 დეკემბრამდე კლუბს გაუღია პროცენტი 9204 მან. 70 კაპ. მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ აღრიცხვა ნავარაუდევია 135900 მანეთში.

## ქართული საღამო ხარკოვში

ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ ნივთიერი ღონისძიების გასაძლიერებლად იანვრის 31-ს ხარკ. კომერც. კლუბში გამართა ტრადიციული ქართული საღამო. დასდგეს ი. ჭავჭავაძის „დედა და შვილი" რუსულად. შვილის როლი საუცხოვოდ ჩაატარა მსახიობმა პასხალოვმა. ქართულმა გუნდმა სტუდ. კაიდაშვილის ლოტბარობით შეასრულა სიმღერა. „სამშობლო" (ყარალაშვილისა) და „ვახტანგ მეფე" საზოგადოებამ რამდენჯერმე გაამეორებინა. სტუდ. როინაშვილმა კინტოურ ტანისამოსით საუცხოვოდ ითამაშა კინტოური. ლეკური იცეკვეს თამრო ჭავჭავაძისამ და სტუდ. აბაშიძემ. სომეხ სტუდენტებისაგან შემდგარ აღმოსავლეთურ ორკესტრმა (თარი, ქიანური, დაირა-ნაღარა და სხ.). შეასრულა რამდენიმე აღმოსავლეთური მელოდია. ახალგაზრდა და კარგად ცნობილმა პიანინოზედ დამკვრელმა მაშო კანდელმა პროგრამის გარეშე შეასრულა რამდენიმე პიესა როიალზედ. მისმა საუცხოვო ასრულებამ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება და რამდენჯერმე გამოიწვიეს. მონაწილეობას იღებდენ კარგად ცნობილი რუსულ სცენის მსახიობნი. პლონერმა და ლეონტიევმა ბევრი აცინეს საზოგადოება მოხდენილ კუპლეტ-სცენებით. მთელს საღამოს სიცილი და ტაში არ შეწყვეტილა. ფოიეში მოწყობილი იყო ჩვენებური დუქანი საქ. სამხედრ. გზის პირას. უკრავდა დუდუკი და საზანდარი. სუყველაფერს ქართველური მხიარულობის ელფერი ედო. გაჩნდნენ სუფრაზედ ქართულად მოკაზმულნიც. აშიშხინდა სუფრაზედ მწვადები, გაიმართა აქვე ქართ. სიმღერები, გაჩაღდა ლეკური და სხვა. ადგილობრივი საზოგადოება დიდის სიამოვნებით ეხვეოდენ მოლეკურეებს გარს საცქერლათ და მხიარულად უკრავდნენ ტაშს თამაშობის დროს. დარბაზში ისეთი ქართველური სული იდგა ისეთი ლეკურ-სიმღერები იყო, რომ თავი ცივ რუსეთში კი არა შუაგულ საქართველოში გვეგონებოდა. საღამოს ელფერს აძლევდნენ რამდენიმე თავდახურული მანდილოსნები (დამსწრეთაგან). ტყუილად არა სთქვის ხარკოვის საზოგადოება ყველაზედ მხიარულ საღამოდ ქართველებისას. გათენებისას ნამხიარულები, ნასიამოვნები საზოგადოება ძლივს დაიშალა, ისიც მაშინ როდესაც დარბაზში სინათლე ჩააქრეს. საღამომ კარგად ჩაიარა. მხოლოდ ნაკლი იმაში იყო, რომ სცენაზე ბევრი გარეშე ნუმრები იყო (არა ქართული). თეატრი სავსე იყო ხალხით. შემოსავალი 2000 მან. უნდა იყვეს.

მილოში.

## წერილი ბაქოდან

კვირას, 7 თებერვალს, ქართველთა შორის წ.-კ. გ. ს. ბაქოს დრამატიულ სექციას განზრახული ჰქონდა დაედგა ნ. შიუკაშვილის ოთხ მოქმედებიანი დრამა „სიმახინჯე". პიესა უკვე მზათ იყო, მაგრამ კვირას, უკანასკნელი, გენერალური რეპეტიციის დროს მივიღეთ ბალახანიდგან ფრიად სამწუხარო ამბავი. ტელეფონით დაიძახეს, დამსახურებული **სცენის მოყვარე შველიძე გადაიცვალაო.** ამ ამბავმა ელვასავით დაუარა მთელ სცენის მოყვარეებს. იმ წამსვე რეპეტიცია შეწყვეტილ იქმნა და ერთ ხმათ გადაწყდა წარმოდგენა გადადებულიყო.

მართალია სახლის ქირა უკვე გადახდილი ქონდათ, მაგრამ პატივი სცეს განსვენებულს და წარმოდგენა გადაიდვა. შველიძე ერთი საუკეთესო სცენის მოყვარეთაგანი იყო ბაქოს ქართულ სცენაზე. ამ სამი წლის წინად, იმისი მეთაურობით დაარსდა თბილისის სახალხო სახლთან ქართული დრამატიული სექცია, იმისვე მეთაურობით იქმნა პირველი ქართული წარმოდგენა ქალაქ ბაქოში.

გარდაიცვალა ბალახანაში, ხოლო როგორც გავიგეთ განზრახულია თბილისს წაასვენონ.

შალვა გომართელი.

## ქართული ენის პროგრამა

**თბ. სათ.-აზნ. გიმნაზიისთვის.**

ეს პროგრამა დაბეჭდილია მდარე ქაღალდზე. სულ 14 გვერდია. არც ბოლოში, არც სხვაგან თარიღი არ უზის და არც აწერია, თუ ვის შეუდგენია. მხოლოდ ჩამოთვლილია მასალა ჩვენებით, თუ რომელ კლასში რა და რა უნდა ისწავლებოდეს.

1-ლ კლასში: ა. საკითხავ-გამოსაცემი მასალა, ბ. საზეპირო, გ. გრამატიკა, დ. წერა და ე. ისტორია.

2 კლ. იგივე უწეროდ (?)

3 კლ. იგივე წერითურთ.

4 კლ. იგივე.

5 კლ. ა. ზეპირი სიტყვიერება. ბ. ნაწერი სიტყვიერება ანუ მწერლობა. ანბანი. ძველი და ახალი მწერლობა. პირველის მოკლე საზოგადო მიმოხილვა (V—XVIII ს.) ახალი მწერლობა. მწერლები 1-ლ პერიოდობა ალ. ჭავჭავაძე, ნიკ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, დან. ჭონქაძე. ლავ. არდაზიანი.—გ. წერა. დ. ისტორია.

6 კლ. ა. ახალ მწერლების მეორე პერიოდი (60—80 წლ.) ილ. ჭავჭავაძე. აკაკი, გ. წერეთელი, რაფ. ერისთავი, ალ. ყაზბეგი, ვ. ორბელიანი.—ბ. ახალ მწერლობას მესამე პერიოდი (80-იან წლებიდან): ვაჟა-ფშაველა, ეგნ. ნინოშვილი, შ. არაგვისპირელი, დავ. კლდიაშვილი.—გ) წერა. დ) ისტორია.

7 კლ. ა) ძველი მწერლობა: 1. მოსამზადებელი პერიოდი, 2. კლასიკური პერიოდი (XI—XII ს.), 3. დაცემის პერიოდი (XIII—XVI ს.) და 4. აღორძინების პერიოდი (XVII—XVIII ს. ბ) წერა.

8 კლ. ა) გამეორება მთელის გავლილ სიტყვიერების ისტორიისა, ქართ. გრამატიკისა, საქართ. ისტორიისა ბ. წერა სალიტერატურო და საისტორიო თემებზე.—

ეს არის და ეს.

სასწავლო ანუ „საკითხავ-გამოსაცემი" მასალა აღებულია მხოლოდ ოციოდე მწერლიდამ. მათ შორის არსად ხსენება არ არის არათუ სოფრომ მგალობლიშვილისა, არამედ მის მშვენიერ და წმინდა ქართულ ენით დაწერილ მოთხრობებისა, აგრეთვე ს. ხუნდაძისა, დუტუ მეგრელისა და სხვ. არსად სჩანს ჰალადიდელი, არსად ი. გოგებაშვილიც, თუმცა მარტო მისი „იავნანა",—არ ვიხსენიებ სხვა შესანიშნავ ნაწერებს,—ირონიულის თვალსაზრისით აჭარბებს პროგრამაში ჩართულ სხვა მწერლების ზოგიერთ ნაწერებს მათ ბიოგრაფებიანად. აგრეთვე არსად ჩანს სასულიერო მწერალი და უდიდებულესი ქართველი, გაბრიელ ეპისკოპოსი. თ. რაზიკაშვილიდამ არც ერთი მარგალიტი არ მოყვანილა. საისტორიო მასალა მთლიანად კი არ შეისწავლება, არამედ დაყოფილია და განაწილებული, ზოგი ამ და ზოგი იმ ხანაშია შეტანილი. ბეჭდვის ისტორია, დრო-გამოშვებით გამოცემების ისტორია პროგრამაში არ გამოყოფილა და ნათლად არ გასახელებულა. ისტორიის პროგრამაც საკმაოდ ბუნდად დასახულია. ეპიზოდიური კურსი: დასაწყისითგან მე X ს. „გასულამდე" (1 კლ.), ბაგრატ III საქ. დანაწილებამდე მე XV ს. (2 კლ.) და დანაწილებითგან რუსეთთან შეერთებამდე (III კლ.). სისტემატიური კურსი: დასაწყისითგან მე X ს. „გასულამდე" (IV კლ.), მეფე ბაგრატ III-ითგან საქ. დანაწილებამდე XV ს. (V კლ.), დანაწილებითგან რუსეთთან შეერთებამდე (VI კლ.), გამეორება (VIII კლ.). მეშვიდე კლასში ისტორია, როგორც ცალკე საგანი, არა სჩანს, იგი თითქო შეერთებულია მწერლობის შესწავლასთან. მაგრამ ამ მწერლობაშიაც გამოტოვებული არიან იგეთი პირველ ხარისხოვანი ქართველები, როგორც სერაპიონ ზარზმელი, ეფრემ მცირე, სტეფანე მტბევარი (გობრონის ცხოვრება) და სხვ. ჩემის ფიქრით, საჭირო იყო ცალკე თავად აღნიშნულიყო სამონასტრო ლვაწლიც, მეტადრე მოკლე-მოკლე ისტორია იგეთ თვალსაჩინო სამეცნიერო კერიათა, ვით გელათი, გრემ-იყალთო, საგარეჯო, ხახული, ბიჭვინტა და სხვ. საქართველოს გარე ათონი, ჯვარი, სინა.

საჭირო იყო პროგრამის ბოლოში დასახელებულიყო ყველა. ის წყარო—სახელმძღვანელოები, რომლითაც შეეძლო ყოველს მოსწავლეს თუ მის მშობელს ეხელმძღვანელა.

ენაც გასაშალაშინებელია ამ „პროგრამაში". ისტორიას თუ მწერლობას ჩვენში **ხანებად** ჰყოფენ და არა პერიოდებად, „გასულამდე"-ს მაგიერ ამბობენ გასვლამდე...

მეორე კლასში „წერის" ხსენება არ არის. ნუ თუ მასში მართლა არ სწერენ, არ თხზავენ? უამისოდ როგორ იქნება!

პროგრამიდან არა სჩანს, მასში მოხსენებულ ყველა საგნებს ერთი მასწავლებელი ასწავლის, თუ ენას გრამატიკა წერითურთ ცალკე ოსტატი, მწერლობას სხვა და ისტორიას სხვა. პროგრამაში უჩვენებენ ხოლმე თვით ყოველ-კვირეულ გაკვეთილების რიცხვსაც. აქ კი ამის ხსენებაც არ არის.

განხილული პროგრამა ნამდვილ პროგრამად კი არ გვესახება, არამედ უფრო სახელმძღვანელოდ ანუ ინსტრუქციად თვით მასწავლებლისთვის.

კარგი იქნებოდა ჩვენის გიმნაზიის მე7 და მე-8 კლ. შემოეღოთ ქართული მხატვრობის ისტორიის გაკვეთილებიც და ეს საგანი მიებარებინათ მცოდნე კაცისთვის.

ცოდვაა უყურადღებოდ დატოვებულ იქმნას სამხატვრო სკოლის ნაწარმოები სახელოვან და ფრიად გამოჩენილ **დვალებისა** (მე-10 საუკუნიდან), აგრეთვე სამხატვროები **ვომინიხია ბერიძისა**, რომელიც იყო უშვენიერესი ასული გურიისა, მასთანავე მგოსანი და დიდად განთქმული ყოველ სათნოებით, **როდია მიქელაძისა**, რომელიც იყო მეუღლე მამუკა ბისკაიასი, ჩინებული მხატვარი და უნიჭიერესი ქალი. მის სახელსხნოს გამოხატულობა: თვით როდია, რომელსაც მარჯვენა ხელში უპყრია კალამ-ბეწვედი და მარცხენაში სხვა და სხვა საწერლებით ფერად წამლებით და იწყებს ხატვას. აქეთ-იქით მუშაობენ მისი მოწაფეები, მოსჩანან წიგნები, ქაღალდი და სხვა.

სათავად-აზნაურო გიმნაზიები მთელის საქართველოს საგანმანათლებლო კერიებია და მათში ისე უნდა იყოს დაყენებული საქმე, რომ მოზარდმა თაობამ მიიღოს შედარებით სრული ცოდნა ქართულ-მეტყველებიდამ.

მ. ჯ.

## მეჯოგლეები

**(სომეხთა ვაჭრების სიმდიდრის და მამულების წარმოშობა თბილისში და ქართული ოჯახის გაქრობა).**

(დასასრული. იხ. „საქ." № 32).

მეფე ერეკლე ერთის მხრით სომეხთა მამა იყო, მას ალბად ესმოდა ვაჭრობის მნიშვნელობა და ამიტომაც მფარველობას უწევდა სომეხთა ვაჭრებს, აქეთ-იქით ვაჭრობისათვის სამგზავროდ. ასტრახანში მგზავრობისათვის მათ სამგზავრო გუშაგნიც კი ეძლეოდათ მფარველად, ამას გარდა სხვა დახმარებასაც აძლევდა. გარდა ასეთის მფარველობისა, 1780 წ. რაკი მეფე ერეკლე და სოლომონ დიდი ეკატირინა იმპერატრიცას მფარველობის ქვეშ შევიდნენ, მას შემდეგ, მეფე ერეკლემ იმეცადინა და სომეხთა ვაჭრების სასარგებლოდ, რუსეთის იმპერატრიცას ეკატირინეში ქელბაქობის, ანუ იარმუკობის გამართვის დიწყება გამოსთხოვა, ისე, რომ 1782 წ. უკვე ეკატირინეში რუსეთის მთავრობის თავოსნობით წელიწადში ერთხელ იარმუკობის გამართვაც დაიწყეს, სადაც საქართველოს ვაჭრებიც მიდიოდნენ და სხვა და სხვა საქონელიც მიჰქონდათ გასაყიდად.

ამ იარმუკობის საქმეებს დიდი ისტორია აქვს საქართველოს ვაჭართა ისტორიისათვის, ამიტომ აქ მის შესახებ საუბარი შორს წავა, ჩვენ აქ ამაზედ არას ვიტყვით, სულ მოკლედ ორიოდ ცნობას კი მოვიყვანთ. საქართველოს ვაჭრები თბილისიდან მიდიოდნენ კატირინეს იარმუკობას, თან მიჰქონდათ საქართველოდან სხვა და სხვა საქონელი სავაჭროდ, იქ ამაებს ჰყიდდენ და ამის სამაგიეროდ იქ ყიდულობდენ ისეთ საქონელს და მოჰქონდათ თბილისში, რაც საქართველოში არ იყო და აქ კი მას კაი გასავალი ჰქონდა.

საქართველოს ვაჭრები კატირინეს იარმუკიდამ ასტრახანშიც გადადიოდნენ და იქიდამ მთელს რუსეთის ქალაქებშიაც დადიოდნენ და ვაჭრობდნენ, საქონელი მრავალი გაჰქონდათ და შემოჰქონდათ საქართველოში, მხოლოდ, ქართველ ერს კი იგინი სულ ვერ ვნებდენ, საერთოდ აქ ბოროტობას, ანუ ქართველთ მამულების ტაციობაზედ სულ ვერ ნავარდობდნენ. სჩანს, რომ მაშინ ვერც ბედავდენ ქართველთ ანიავებას. ან იქნება შნო არ აქვნდათ ისე, რაც მათ 1801 წლ. შემდეგ გამოიჩინეს, ამ ჩარჩების ბოროტება საქართველოში იწყება 1801 წლიდამ. ბარემ ამასაც მოვიყვანთ აქ, რათა ვიცოდეთ ისიც, თუ ამ მცარცვავ მგლების ქონება საქართველოში, ვისის ძვლებიდან არის გამოხრული და გამომდნარი.

სომხის ჩარჩები რუსეთში მგზავრობის დროს, რუსთა ქალაქებში ხედავდენ ბევრს ისეთ საქმეებს, რაც საქართველოში მათი არსება არ იყო და რომ ყოფილიყოს, მაშინ საქართველოშიაც მას დამშეული არვინ ეყოლებოდა, პირ იქით, მათ მთავრობაც დაიფარავდა, ქართველ მეფეების დროს, თუ მათ ერთის მხრით მორიდება აქვნდათ და მეორეს მხრით ქართველთ მთავრობის შიში, ახლა კი ამ ახალ დროს, ამის მოთავეთიშე მათ არავინ გამოუჩნდებოდა, ნაცვლად ამის იგინი სახელსაც მოიხვეჭდენ ქარაფშუტა ხალხთაგან და მასთან კარგს ფულსაც შეიძენდენ, დანარჩენთან ამ ჩარჩებს საქმე არ აქვნდათ.

ჩარჩის ხელობა იყო ფულის მოგება, მამულების შებოჭვა, გამდიდრება, ხოლო ამ სიმდიდრის შეძენისათვის თუ ვინმე ქართველი გაისრისებოდა, ამასთან მათ საქმე არ აქვნდათ,

პირველ დღიდან, ანუ 1801 წ. შემდეგ, ამათ თბილისში იწყეს სოკოსავებ სხვა და სხვა საჩარჩავ დუქნების დახსნა, ამათი საქონელი დღე და ღამ განუწყვეტლივ შემოდიოდა რუსეთიდან, რუსის ვაჭრები მათ ყველა ამ საქონელს ნისიათ აძლევდენ, რუსეთში ნისიათ ყიდულობდენ, აქ მოჰქონდათ და ქართველებზე კიდევ ამ ნისიათ ნაყიდ ერთი ათად ასაღებდენ, ხამ ქართველმაც არ იცოდა ახალ საქონლის ფასი, მაზანდა და ამიტომ რასაც ჩარჩი ეტყოდა ისინიც ისე ყიდულობდენ,

ჩვენ ვიცით ასეთი საქმეთა, ცნობანი. კართოფილის სანთელს, რასაც მოსკოვში ყიდულობდა დუჟინს სამ აბაზად, იმას თბილისში ხან სამ მანათად ჰყიდდა, ხან ოთხად და ქორწილების დროს ხუთ მანათადაც. შაქარი რაც ქართველ მეფეების დროს გირვანქა 30 კაპ. ზევით არ ავიდოდა, ამათ გახადეს 1—20. საპონი, რაც მეფეთა დროს ორ ფულად იყიდებოდა (10 კაპ.), ეს გახადეს 40 კაპ. ასეთ საქონელთა ფასების მოყვანა აქ შორს წავა. ერთის სიტყვით ესენი ქართველებს ისეთ ფასებში აძლევდენ საქონელს, რაც მცოდნე კაცისათვის წარმოუდგენი უნდა ყოფილიყოს. მაშინ ამ მცარცვავებთ არვინ რას უშლიდა, რადგანაც სამწუხაროდ, თვით ქართველ მეფეთა დროიდამ დაწყებული, თბილისის ნაცვლებს, ანუ თავსაც ყოველთვის სომხის მოქალაქეს, ან თავადს ირჩევდენ და ესენი კიდევ ყოველ ნაირ ბოროტებას მალავდენ, ფარავდენ ყველაფერს, რადგანაც მათში მის შეგნება უკვე წავიდა წინ, რომ იგინი სომხები იყვნენ და სომხის სჯულისანი.

ქართველ მეფეთა დროს კი ვერც ნაცვალს შეეძლო ჩარჩების დაფარვა, ვერც ქალაქის მელიქს, ვერც ქალაქეტს (თავი) ამიტომაც მაშინდელი ვაჭრები ცარცვა გლეჯისაგან ალაგმულები იყვნენ და ამ ახალ დროს კი მათ დამშლელი არვინ ჰყავნდათ,

მათ სხვა ხაფანგებიც დაუგეს ქართველებს, ეს ხაფანგები არის ისეთი თვისების და ისეთის რიხვის, რაშიც მოჰყვა მთელი თბილისის ქართველთ მამულები, რომელ ხაფანგებშიაც გაება არამც თუ მარტოდ თავად-აზნაურობა, რადგანაც დროთა ცვლილების გამო უსაქმოდ იყვნენ დარჩენილნი, არამედ, მათ გარდა გაებნენ ამ ვაების ცეცხლში თვით ქართველი გლეხებიც.

ზ. ჭ.

## თეატრი და ხელოვნება

10 თებერვალს, „სახ. სახლში" სახალხო წარმოდგენების მმართველმა წრემ წარმოადგინა შილლერის „ყაჩაღები". საყურადღებოა, რომ ორს უმთავრეს როლს ფრანც მორისას და კარლოსისას ასრულებდა ბ-ნი იმედაშვილი. სიამოვნებით უნდა შევნიშნოთ, ერთიც და მეორეც ზომიერად იყო შესრულებული ახალგაზრდა მსახიობის მიერ. მსურდა ხაზი გამესვა მის ფრანცისთვის: მსახიობი ამ როლში პირველად ვნახე და კმაყოფილიც დავრჩი თუნდა იმიტომ, რომ ცვლილება შეიტანა და ტრაფარეტის საზღვრებს გასცილდა. დღემდე ჩვენი მსახიობნი მესხიშვილის სკოლას მისდევდნენ ამ როლის შესასრულებლად. რა თქმა უნდა, სკოლა კარგია და მიმბაძველობაც ურიგო არ იქნება, როდესაც სრულად იქნება გადმოღებული, მაგრამ საქმეც ის იყო, რომ მესხიშვილის ფრანცის ყოველთვის კარიკატურას ვიღებდით ახალგაზრდა მსახიობთაგან, რაიც არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა მაყურებელზე. იმედაშვილზე კი ეს არ ითქმის. ეს დემონი ადამიანი მის ხელში სხვაგვარ განმარტებას იღებს, ორიგინალურს სახისას. მოგვეწონა მისი სცენა სარკესთან, სიმკვირცხლე თამაშისა, ოღონდ უკმაყოფილო დავრჩით სუცხოვო სცენის ტრადიციული დამახინჯებით, რომ ყველა ჩვენი მსახიობნი რატომღაც ახრჩობენ მამას იაფ-ფასიანი ეფექტის მოსახდენად, მაშინ როდესაც პიესა ბევრს მოიგებს რომ იმ სახით შესრულებული იქმნეს, როგორც შილლერსა აქვს.

კარლოსი—იმედაშვილი, თქმა არ უნდა, საგმირგმირო როლია; ჩვენი მსახიობთაგან ჯერ-ჯერობით მაგაზე უკეთესი არ გვეგულება ამ როლში. [illegible] საჭიროა კარგი [illegible] და არა ისეთი მანიკენები, როგორც იმ დღეს ვითომდა ყაჩაღების სახით ეხვივნენ ყოვლად უშნო და სცენაზე არ გამოსაშვები როლლერი, შუფტერლე, შვარცი და სხვები.

ფრიად ორიგინალურ პატერის ტიპი დაგვიხატა ბ-ნმა გოცირიძემ. საუცხოვო მიმიკა, ზოგიერთ იეზუიტური მინერის აღტაცებაში მოჰყავს მნახველი.

მაქსიმილიანე ფონ მორის როლი ლაზათიანად შესრულებულ იქმნა ბ-ნ გ. გამყრელიძის მიერ.

სიცოცხლე აკლდა ბ-ნ რომანიშვილის შპიგელბერგს. ემჩნეოდა, თუ მსახიობი შორეს როგორ უსვამდა ხაზს, რათა იაფ-ფასიანი იუმორით საზოგადოება გაეცინებინა.

საზოგადოდ უსიცოცხლო ბრბო ყაჩაღებისა მეტად მძიმე და მოსაწყენ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო...

დიოგენი.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | საფ. მ. | 9 | 8.53 სალ. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 სალ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 სალ. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 სალ. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. 58 | წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 | „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 | „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ 42 | „ | „ |
| იორიდან | 11 „ 35 | „ | „ |
| საგარეჯოდან | 12 „ 17 | „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 15 | | დღის |
| მეღაანიდან | 2 „ 37 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 08 | „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ 58 | „ | „ |
| თელავში მიდის | 5 „ 35 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 18 | „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ 50 | „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 | „ | „ |

**თელავიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. 58 | წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ 45 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ 46 | „ | „ |
| მეღაანიდან | 12 „ 02 | „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 13 | „ | დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ 15 | „ | „ |
| იორიდან | 2 „ 53 | „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ 40 | „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ 31 | „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 | „ | „ |
| თბილისში მიდის | 5 „ 01 | „ | „ |
| წნორის-წყლიდან | 8 ს. 16 | წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 8 „ 46 | „ | „ |
| გურჯაანში მიდის | 10 „ 16 | „ | „ |

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი

ძმ. მეჯვლოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძვით, სომრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშთჩნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.